ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 44 (19186) ხუთშაბათი, 21 თებერვალი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

მოწინავეთა მწკრივებში

„საქავტორემონტის" რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების კოლექტივი წარმატებით იბრძვის მიმდინარე წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. გაერთიანების საწარმოთა ბევრმა ბრიგადამ, საამქრომ, უბანმა ვადამდე შეასრულა იანვრის დავალებები და ახლა თებერვლის სახელმწიფო გეგმების განაღდებისათვის იბრძვიან. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა გაერთიანების მეთაური ქარხნის ზეინკალი ზ. მაისურაძე.

სურათზე: ზ. მაისურაძე.
თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ბარათი საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს საკონსერვო მრეწველობის საწარმოებში ცალკეულ სახეობათა კონსერვების წარმოების გეგმების სისტემატური შეუსრულებლობის, დიდი ზენორმატიული ნარჩენების, ნედლეულისა და პროდუქციის გაფუჭებით გამოწვეული მნიშვნელოვანი დანაკარგების მიზეზთა შემოწმების შედეგების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი, დაამტკიცა სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ორმხრივი ღონისძიებანი საქართველოს სსრ საკონსერვო მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის 1986-1990 წლებში. საკონსერვო მრეწველობის საქმიანობაში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საყვედური გამოუცხადა რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ამხ. გ. ა. ბუდუმიანს და სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის" უფროსს ამხანაგ დ. გ. კეკელიძეს. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ნ. ა. ქებაძეს მიეცა გაფრთხილება.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება რესპუბლიკაში 1985 წლის 1 მარტიდან 1 მაისამდე შრომითი რესურსების გამოყენებისა და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების დათვალიერების მოწყობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ვაგონების გადმოტვირთვისათვის რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროს, უწყებისა და რეგიონის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის საკითხი და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის თებერვალში ცუდად არის ორგანიზებული გადმოტვირთვა მშენებლობის, ვაჭრობის, ხილბოსტნეულის მეურნეობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, ცეკავშირის საწარმოების, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" მისასვლელ გზებზე. გაუარესდა ვაგონების გადმოტვირთვის მდგომარეობა აჭარის ასს რესპუბლიკაში, თბილისსა და ქუთაისში, სამტრედიის რაიონში. აღნიშნული სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მკაცრად იქნენ გაფრთხილებული. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანი გამოყენებისათვის, გადმოუტვირთავი ვაგონების ნაშთის მაქსიმალური შემცირებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა იანვარში პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის საკითხი და მოითხოვა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა კომიტეტებმა, სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა სანიმუშო წესრიგი დაამყარონ სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცების საქმეში. უზრუნველყონ მიწოდების 1985 წლის სახელმწიფო გეგმების უთუო შესრულება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს შემცირების მიზნით სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმების კორექტირების შემდგომი აღკვეთის ღონისძიებათა საკითხი. იმ უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს, რომლებმაც დაუშვეს ასეთი კორექტირება, მიმდინარე წლის იანვარში მიეთითათ, რომ ასეთი კორექტირება დაუშვებელია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. ნ. ენუქიძის ინფორმაცია დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის დღესასწაულობისათვის მზადების შესახებ და მოიწონა მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით წარმოებს. რესპუბლიკურ კომისიას დაევალა გააძლიეროს სახელოვანი იუბილესათვის მზადების მიმდინარეობის კოორდინაცია და კონტროლი პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებში, იღვაწოს, რათა ამ მზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკის ყველა კომუნისტმა, კომკავშირულმა, შრომითმა კოლექტივმა, შემოქმედებითმა ორგანიზაციამ, სასწავლებელმა. დასახულია საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაფართოების, ომის ვეტერანებთან მუშაობის გაუმჯობესების, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. დ. კოზაევის ინფორმაცია საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, რათა მომზადებულიყვნენ საგაზაფხულო თესვისათვის.

ამავე დროს აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ საკმარისად აქტიურად არ ხორციელდება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების მაღალორგანიზებული მოწყობის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაავალა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს გააძლიერონ მუშაობა თესვის კამპანიის მომზადებისა და მოწყობისათვის, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობისათვის საჭირო რაოდენობის საწვავ-საპოხი მასალების დროული მიწოდების, მექანიზატორების კადრებით მეურნეობათა დაკომპლექტების უზრუნველსაყოფად.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსის ამხ. ტ. გ. ჯაბაურისა და პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. რ. დ. სანიკიძის ანგარიში „თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხელმძღვანელობის და პარტიული ორგანიზაციის მხრივ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებისადმი პასიური დამოკიდებულების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ დადებითი ძვრები, რომლებსაც საწარმოს კოლექტივმა მიაღწია სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების პროგრამის რეალიზაციაში, ამ მიმართულებით გადადგმული მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ქარხანას ყველა შესაძლებლობა აქვს გახდეს სანიმუშო-საჩვენებელი საწარმო, რომელიც უშვებს ფართო ასორტიმენტის მაღალხარისხოვან სახალხო მოხმარების საქონელს. ქარხნის ადმინისტრაციას და პარტიულ ორგანიზაციას მიეცათ რეკომენდაცია მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობა სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის დაკმაყოფილებისათვის მუშაობის ორგანიზაციის რესპუბლიკურ ცენტრთან და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სადარგთაშორისო საგეგმო სამეურნეო ტერიტორიულ სამმართველოსთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა საკითხები.

ერთიანობისა და შეკავშირების კურსით

ამომრჩეველთა შეხვედრა მ. ს. გორბაჩოვთან

მშრომელთა მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია ჩვენს ქვეყანაში. იგი შკაფიოდ მოწმობს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, იმას, რომ საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული შრომით გაზარდონ სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება. ეს ითქვა 20 თებერვალს მოსკოვში გამართულ კიევის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ...

... სსრ კავშირის ქვების მრეწველობის სამინისტროს პარტკომის მდივანი ს. მ. ბედინი.

გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან აღნიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადებისას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ისევ და ისევ ამოწმებს თავის პოლიტიკურ კურსს ხალხის უმდიდრესი გამოცდილებით. ეს სოციალისტური ქვეყნის მმართველი პარტიისათვის საარსებო აუცილებლობა ...

... ვნული შემოსავალი 19 პროცენტით გაიზარდა.

სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარება განუყრელად არის დაკავშირებული პოლიტიკური სისტემის სრულყოფასთან, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიული პრინციპების გაღრმავებასთან. უფრო სრულად რომ გამოვიყენოთ საბჭოების უდიდესი პოტენციალი, გაფართოვდა მათი უფლებამოსილება, თანამიმდევრულად ხორციელდება კანონმდებლობის, მართვისა ...

... უზრუნველყოფს ყველა ფაქტორი, ყველა პირობა, უკეთ მოვიფიქროთ მოწინავე გამოცდილების გავრცელების მექანიზმი. მთელი პრინციპულობით უნდა ჩავწვდეთ ჩამორჩენილი საწარმოებისა და მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ცუდი მუშაობის მიზეზებს. ეს შეიცავს ჩვენი ეკონომიკის განვითარების რეზერვებს და ისინი აუცილებლად უნდა ავამოქმედოთ.

ახლა მთავარი ის არის, თქვა დეპუტატობის კანდიდატმა, რომ ...

... დასასრულ მ. ს. გორბაჩოვმა მოსკოველებს უსურვა ახალი წარმატებები მუშაობაში, ჯანმრთელობა და დიდი პირადი ბედნიერება. (საქინფორმი).

წითელწყარო: ცვლილებათა ხანა

ბოლო ხანს წითელწყაროს რაიონში შეინიშნება ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში დაშვებული ჩამორჩენის დაძლევის, გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის, მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის ბრძოლაში მშრომელთა გააქტიურების დადებითი ტენდენცია.

მაგრამ ეს ტენდენცია მოითხოვს ყველა კოლექტივის თავდადებული შრომით განმტკიცებას, მთელ რიგ შემთხვევებში, პარტიული ...

... მა პირობა დადეს, რომ ყოველ ას ცხვარზე მიიღებენ 98 ბატკანს. ეს ადგილობრივი პირობებისათვის მაღალი მაჩვენებელია.

მიმართა რა ამხ. ე. ა. შევარდნაძეს, შთამომავლობით მეცხვარემ, დიდი სამამულო ომის მონაწილემ ზაქარია კვანტილაშვილმა თავისი ამხანაგების — ბრიგადის წევრების სახელით პირობა დადო, რომ ამ წლისათვის დასახულ ყველა გეგმასა და ვალდებულებას ბრიგადა პირნათლად შეასრულებს.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ...

... ციპლინა — ყველა წარმატების საფუძველთა საფუძველი. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დადებითად შეაფასა კოლმეურნეობის გამგეობისა და მისი თავმჯდომარის მ. ბ. ბიკაშვილის საქმიანობა, რომლებიც ბევრ რამეს აკეთებენ კოლმეურნეობის ეკონომიკის შექმნისა და განმტკიცება-განვითარებისათვის. მან აღნიშნა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობა საპატიო, მაგრამ ამავე დროს ერთობ პასუხსაგებია. მას უნდა უფრთხილდებოდე, ამართლებდე მთელი შენი ქცევით, მთელი საქმიანობით.

...

... შემდეგ იგი გაეცნო ამავე კოლმეურნეობის №21 მეცხვარეთა ბრიგადის მუშაობას. აქ ახლა პასუხსაგები პერიოდია — მიმდინარეობს დოლი. ბრიგადის წევრებ ...

... რაიონში მოგზაურობისას ამხანაგ ე. ა. შევარდნაძესთან ერთად იყო პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი გ. ბ. ჭარაქაშვილი. (საქინფორმი).

გაზი დანიშნულებისამებრ უნდა გამოვიყენოთ

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის მთელი კოლექტივი გულმოდგინედ ზრუნავს იმისათვის, რომ მოსახლეობა და საწარმო-დაწესებულებები გაზით უზრუნველყოს. მაგრამ მოგეხსენებათ, ზამთარი წლის ისეთი პერიოდია, როდესაც ...

... წველობის დარგის მუშაკთა რიტმული მუშაობა.

გაზის შეცირების შედეგად მაგისტრალურ ქსელებში დაეცა წნევა, მაგრამ დღეისათვის მდგომარეობა თანდათანობით სწორდება.

რესპუბლიკის რომელ ქალაქში რა რაოდენობის გაზი შედის და როგორია მაგისტრალურ ქსელებში წნევა, ამას განსაზღვრავს რესპუბლიკური ცენტრალური სადისპეტჩერო სამმართველო. ...

... ოპერატიული მონაცემებით, რესპუბლიკამ მთლიანად თებერვლის განვლილ 19 დღეში დახარჯა 274,3 მილიონი კუბური მეტრი გაზი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტია. თბილისის მოსახლეობამ, კერძოდ, თებერვლის მარტო 17 დღეში 28 მილიონ 700 ათასი კუბური მეტრი გაზის ნაცვლად 30 მილიონ ...

თუ დროზე საქმეს არ მივხედეთ...

● თებერვალი მოკლე თვეა ● უსწორდით იანვრის მაჩვენებლებს!

მიმდინარე წელი ჯართის დამზადების მხრივ მაინცდამაინც სახარბიელოდ არ დაწყებულა. მთელმა რიგმა ქალაქებმა, რაიონებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, სამრეწველო საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს მეორეული ლითონის სახელმწიფოსათვის რიტმული ჩაბარება.

ამიტომ იანვრის პირველი დეკადის დამლევს ჯართის დამამზადებელ ორგანიზაციებს გაეგზავნათ საქართველოს კომპარტიის ...

... და, იმათ ხარჯზე, ვინც დავალებებს გადააჭარბა. მათ შორის არიან ქალაქები რუსთავი, ფოთი, ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი, ზუგდიდი, მახარაძე, ხაშური, ცხაკაია, სამტრედია, თბილისის ლენინისა და 26 კომისრის რაიონები.

გეგმა ვერ შეასრულა თბილისის კალინინის, საბურთალოს, ... „გაზაპარატმა", 188 ტონა — ცეკავშირმა, 86 ტონა — „საქმთავარწყალმშენმა".

...

... ხის, წითელწყაროს რაიონებში. ამავე მოვუწოდებთ მშენებლობისა და ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროებს, გაერთიანება „საქპიდროენერგომშენს", ცეკავშირს. თებერვალში სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს 33 ათას ტონაზე მეტი ჯართი, მაგრამ დღეისათვის დამზადებულია მხოლოდ 15 ათასი ტონა. თუ დროზე საქმეს არ მივხედეთ, გეგმის შესრულება შეიძლება საფრთხეში აღმოჩნდეს. არ დაგავიწყდეს, რომ თებერვალი მოკლე თვეა.

როცა ეს წერილი დასაბეჭდად მომზადდა, ჩვენ გვაცნობეს, რომ ...

ლ. კინწალაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დავამკვიდროთ დადებითი ტენდენცია, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საბინაო მშენებლობის 1984 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგები და პარტიის სოციალური პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად საცხოვრებელი ბინების მშენებლობის ხუთწლიანი პროგრამის რეალიზაციის ღონისძიებანი. ეს შედეგები მოწმობენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში დამკვიდრდა საბინაო მშენებლობის ხელმძღვანელობისა და მისი მიმდინარეობისადმი კონტროლის გარკვეული სისტემა, განუხრელად სრულდება საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები. უზრუნველყოფილია წინათ გამოუყენებელი კაპიტალური დაბანდების ათვისება. მეტ წილ რეგიონებში გეგმაზომიერად მუშაობენ საბინაო მშენებლობის ხელშემწყობი შტაბები. მარტო გასულ წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 1185 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი ბინები, ანუ გეგმის 101 პროცენტი, ზრდის ტემპმა 1983 წლის შესაბამისი პერიოდისათვის შეადგინა 105 პროცენტი. აუთვისებელი კაპიტალური დაბანდების მოცულობა 1983 წელთან შედარებით მთლიანად შემცირდა სამჯერ, ხოლო სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. წარმატებით არის რეალიზებული საცხოვრებელი ბინების მშენებლობის პროგრამა აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქალაქებში თბილისში, ჭიათურაში, ფოთში და სხვა.

რიგიანი შედეგებია მიღწეული მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში. მთლიანად რესპუბლიკაში 1980-84 წლების მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 4605 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებას 12 პროცენტით აღემატება. დაწესებული პროგრამის დამატებით ათვისებულია 135 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება. სამშენებლო ორგანიზაციებმა ვალდებულება იკისრეს შეასრულონ ხუთწლედის დავალებანი მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის.

ამასთანავე საბინაო მშენებლობას რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი. ხარვეზებია დაგეგმვაში, სისტემატურ ხასიათს ატარებს საცხოვრებელი სახლების ამოქმედებისა და კაპიტალური დაბანდების წლიური გეგმების შეცვლა, ზოგჯერ გეგმაში შეაქვთ ობიექტები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი ტექნიკური დოკუმენტაციით, დაფინანსებით და მშენებლობისათვის განთავისუფლებული ტერიტორიით.

ნაკლები ყურადღება ეთმობა მარაგნამეტს, რის შედეგადაც ძალზე ბევრი სახლი ბარდება წლის ბოლოს. მაგალითად, გასული წლის დეკემბერში ამოქმედდა წლიური პროგრამის დაახლოებით 40 პროცენტი, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია სახლების ჩაბარება მნიშვნელოვანი ხარვეზებით.

დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული საბინაო მშენებლობის ხელმძღვანელობა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროში. მიუხედავად იმისა, რომ შესრულდა საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა, მთლიანად სამინისტროში 1984 წელს დაშვებულია ჩამორჩენა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებაში 8,6 მილიონი მანეთის ოდენობით. აქ არ იგრძნობა საბინაო მშენებლობის მიმდინარეობისადმი კონტროლისა და კოორდინაციის მწყობრი სისტემა, არ არის დამყარებული ჯეროვანი ოპერატიულობა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფაში, ცალკეულმა ქვეგანაყოფებმა დაუშვეს ჩამორჩენა საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში, მაშინ როდესაც მთლიანად საიჯარო სამუშაოთა გეგმები შესრულებულია.

საცხოვრებელი სახლების ასაგებად სამშენებლო კონვეიერის არასტაბილური მუშაობას და გამოყოფილი სახსრების ათვისების ჩავარდნებს ხელს უწყობს შემკვეთთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს მიზეზით 1984 წელს სამშენებლო ორგანიზაციები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას შეესრულებინათ 2 მილიონ მანეთამდე მოცულობის სამუშაოები საცხოვრებელი ბინების მშენებლობაზე.

ბინათმშენებლობაზე რიტმული მუშაობის ორგანიზაციას მნიშვნელოვანწილად აბრკოლებს ხშირი შეფერხება სამშენი მასალების, განსაკუთრებით კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნების პროდუქციის მიწოდებაში.

ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სათანადო გარდატეხა საბინაო მშენებლობის ხარისხის ამაღლებაში. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი ხარისხისაა საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც აშენებენ რუსთავის, გორის, სოხუმის სახლთმშენებელი კომბინატები და რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტი.

საქართველოს კომპარტიის ცალკეული საქალაქო და რაიონული კომიტეტები ბინების მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის განხორციელებისას ღრმად არ აანალიზებენ საქმის ვითარებას, არ იღებენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ არსებული რეზერვების სრული გამოყენება, მშენებლობებზე სამცვლიანი მუშაობის ორგანიზაცია, შრომითი რესურსებით დაკომპლექტება და მშენებელთა სტაბილური კოლექტივების შექმნა. საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ორგანიზაციაში აშკარად მოისუსტებს ბევრი ადგილობრივი საბჭოთა ორგანოს როლი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცნობად მიიღო, რომ ახლად შექმნილი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სტრუქტურაში მშენებლობის სამინისტროსა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გაერთიანებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საბინაო მშენებლობის მართვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სახელმწიფო დავალებათა შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამის სისტემატური ჩაშლის, საბინაო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოთხოვნების სარეალიზაციოდ არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და ხარვეზებიანი საცხოვრებელი სახლების ჩასაბარებლად წარდგენისათვის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გორის სახლთმშენებელი კომბინატის უფროსი ამხ. ვ. ნ. ფოცხვერაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ცნობად არის მიღებული, რომ:

— საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს რუსთავის სახლთმშენებელი კომბინატის უფროსს, სკკპ წევრს ამხ. ა. ვ. ბერიძეს საგეგმო დავალებათა სისტემატური შეუსრულებლობისა და მათი ჩაშლისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების, საბინაო მშენებლობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად სათანადო ღონისძიებათა განუხორციელებლობის, სამუშაოთა წარმოების დაბალი ხარისხისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით;

— საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სოხუმის სახლთმშენებელი კომბინატის უფროსს ამხ. დ. გ. შერვაშიძეს საბინაო მშენებლობის ხარისხის გასაუმჯობესებლად ხელქვეითთა მიმართ სუსტი მომთხოვნელობისა და შესასახლებლად საცხოვრებელი სახლების მომზადების დაგვიანებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყვეს საბინაო მშენებლობაში 1984 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულება, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 და № 9 ტრესტების მმართველებს ამხ. ქ. ვ. გოგიჩაიშვილსა და რ. ა. ბაკურაძეს მკაცრად მიეთითათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსს ამხ. ბ. ა. ზატუაშვილს მოსთხოვა გაზარდოს საქვეუწყებო რეგიონული ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, ტერიტორიითა და დაფინანსების გახსნით მშენებარე ობიექტების დროული უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე საბინაო მშენებლობის საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხ. გ. ნ. შანიძეს წინადადება მიეცა არ დაუშვას საიჯარო სამუშაოთა გეგმებში არარეალური ობიექტების შეტანისა და საგეგმო დავალებათა შემდგომი უსაფუძვლო შეცვლის შემთხვევები, გააძლიეროს კონტროლი საქვეუწყებო დაქვემდებარების ორგანიზაციათა მიხედვით გეგმების შედგენისა და კორექტირებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი სხვა პოლიტიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს მიმდინარე წლის და მთლიანად ხუთწლედის საბინაო მშენებლობის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების უცილობელ შესრულებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას პარტიის სოციალური პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად. (საქინფორმი).

რესურსებს—მკაცრი ანგარიში

მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა დათვალიერების ორთვიური

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესწავლისა და გამოყენების, პირუტყვის გამოზამთრების ორგანიზებული დამთავრებისა და დადგენილ აგროვადებში საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა შესრულების მიზნით სახელმწიფო კომიტეტმა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტეს მოაწყონ სახელმწიფო კომიტეტის სისტემის ძირითად მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა დათვალიერების ორთვიური.

ორთვიურის ორგანიზებული მოწყობისათვის შეიქმნა რესპუბლიკური შტაბი საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გ. დ. მგელაძის ხელმძღვანელობით.

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებებს დაევალათ შექმნან შესაბამისი შტაბები და ოპერატიული ჯგუფები და შეიმუშაონ მათი სამუშაო პროგრამები. შემოწმების შედეგებს განიხილავენ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოების სხდომებზე, ხოლო მასალებს წარადგენენ რესპუბლიკურ შტაბში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს რაიონულმა განყოფილებებმა და საქსოფლტექზედამხედველობის რაიონულმა ინსპექციებმა უნდა გამოავლინონ ტრაქტორები, ავტომანქანები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლებიც მოქალაქეთ უკანონოდ აქვთ პირად საკუთრებაში.

ორთვიურის შედეგებს განიხილავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიების გაერთიანებულ სხდომაზე.

აგროსამრეწველო გაერთიანების მოკავშირენი

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის გამოყენებით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა შარშან დაახლოებით ექვსი მილიონი მანეთი შეადგინა. ასეთი სოლიდური თანხა დაიზოგა იმის მეოხებით, რომ ბოლო ხანს მნიშვნელოვნად უფრო ზუსტად ხდება ამინდის პროგნოზირება, გაიზარდა დაინტერესებულებისათვის ისეთი საშიში მოვლენების შეტყობინების ოპერატიულობა, როგორიც არის ყინვა, გვალვა, კოკისპირული წვიმები. ეს ითქვა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც თბილისში გაიმართა.

ამინდის სამსახურის მუშაობის გაუმჯობესებას ბევრად შეუწყო ხელი ახალი ტექნიკით, კავშირგაბმულობის საშუალებებით მისი ქვეგანაყოფების აღჭურვამ, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, სპეციალისტების შესამჩნევმა პროფესიულმა ზრდამ. მუშაობაში გამოდგა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, რკინიგზის ტრანსპორტის, სხვა ორგანიზაციების მუშაკებისათვის ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის მიწოდების ავტომატიზებული სისტემები.

რესპუბლიკის ამინდის სამსახუ- [illegible] ციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განყოფილების გამგე მ. ი. წიკლაური. (საქინფორმი).

სახალხო ხელისუფლება ჩვენი ცხოვრების საფუძველია

ამომრჩეველთა შეხვედრა პ. გ. გილაშვილთან



ტრიბუნაზეა ამხანაგი პ. გ. გილაშვილი.

ბ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

განვლილი სასოფლო-სამეურნეო წელი გორის რაიონის მშრომელებმა დაამთავრეს დამკრელურად, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით. საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მათ მიენიჭათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. რაიონის მშრომელთა წვლილის მაღალი შეფასება ახალი სტიმულია სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლაში.

გორელთა მაღალი შრომითი გაწყობილების დასტური გახდა შეხვედრა, რომელიც მათ გაუმართეს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატს № 108 შავშვების საარჩევნო ოლქისაგან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პავლე გიორგის ძე გილაშვილს. ამომრჩევლებთან შეხვედრა მოეწყო სოფელ ზერტის კულტურის სახლში.

შეხვედრა გახსნა პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. პ. აბრამიშვილმა.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა, შავშვების საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა მ. პ. ტატურაშვილმა შეკრებილთ გააცნო პ. გ. გილაშვილის ცხოვრების გზა და შრომითი საქმიანობა, მოუწოდა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს — 24 თებერვალს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეულ წარმომადგენლებს.

გორის რაიონის მშრომელთა მიღწევების, წინა არჩევნების შემდეგ აქ მომხდარი დიდი ცვლილებებისა და ქვეყნის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენების ღირსეულად აღნიშვნისათვის მათი მზადყოფნის შესახებ ილაპარაკეს სოფელ ზერდულეთის კოლმეურნეობის წევრმა ა. ი. გიგაურმა, შავშვების საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. ო. მაღალაშვილმა, სოფელ ზერტის კოლმეურნეობის წევრმა, ახალგაზრდა ამომრჩეველმა ზ. შ. ბესიაშვილმა, შავშვების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ბ. ხუბულურმა, სოფელ ზერტის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გ. უ. ტერუნაშვილმა, სოფელ ბერშუეთის საშუალო სკოლის პედაგოგმა მ. ა. კაპანაძემ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პ. გ. გილაშვილმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან გულითადი მადლობა უძღვნა ამომრჩევლებს, რომლებმაც დიდი ნდობა გაუწიეს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

ახლანდელი არჩევნები, თქვა მან, ეწყობა ღირსშესანიშნავ დროს. მთავრდება მეთერთმეტე ხუთწლედი, ქვეყანაში მიმდინარეობს მზადება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, გაზაფხულზე უნდა ვიდღესასწაულოთ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავი, ფართოდ აღინიშნება სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავი. ნიშანდობლივია, რომ ახლანდელი არჩევნები ეწყობა რუსეთის პირველი რევოლუციის, იმ რევოლუციის დაწყების 80 წლისთავის წელს, რომელმაც შექმნა მუშათა დეპუტატების პირველი საბჭოები—საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველი.

ამ ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ღონისძიებანი სოციალისტური დემოკრატიის გასაღრმავებლად, სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს საბჭოების აქტიურობის ზრდაზე, მათს სახელმწიფო, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ-აღმზრდელობით საქმიანობაზე. რესპუბლიკის მნიშვნელოვან მიღწევებს, რომელმაც ზედიზედ მეთორმეტედ მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, მნიშვნელოვანი წვლილი შემატეს სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, ხალხის რჩეულთა მრავალრიცხოვანმა არმიამ.

ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან — ეს არის ერთგვარი ანგარიშგება უწყება-ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი განსაზღვრულია სკკპ XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებებით. ამან ხელი შეუწყო სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სახელმწიფო ხელმძღვანელობის სრულყოფას, იმ უფლებათა უფრო სრულ რეალიზაციას, რომლებიც სახალხო დეპუტატთა საბჭოებს მინიჭებული აქვთ სსრ კავშირის კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით.

სახალხო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ფორმების, სტილისა და მეთოდების სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის დადგენილება „სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ".

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გაუმჯობესდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობა, გაძლიერდეს მათი ორგანიზატორული, მაკონტროლებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციები, ზუსტად წარიმართოს პარტიის მიერ დასახული აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად.

„მართვის სისტემის სრულყოფის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ყოველი საბჭოს ტერიტორიაზე სახელმწიფო მართვის, ეკონომიკური მუშაობის, საუწყებათაშორისო ტერიტორიული კოორდინაციის განხორციელების ეფექტიანი ფორმების ძიებას. ახლა რესპუბლიკაში მართვის სისტემისა და ფორმების სრულყოფის მიზნით მიმდინარე ექსპერიმენტების უმრავლესობა ადგილობრივი საბჭოების ბაზაზე ხორციელდება პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით. აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნამ არსებითად გააფართოვა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის მასშტაბი, აამაღლა მათი პასუხისმგებლობა საქმის მდგომარეობისათვის.

საარჩევნო კამპანიის დამამთავრებელი სტადია დაუდგა, — აღნიშნა შემდეგ დეპუტატობის კანდიდატმა — ამომრჩეველთა წინაშე უკვე გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის პარტიისა და მთავრობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები. მათს გამოსვლებში ზუსტად და ნათლად არის ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის კეთილშობილური მიზნები და ამოცანები, მათი განხორციელების გზები და საშუალებები, დაწვრილებით და დამაჯერებლად არის გაშუქებული ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის ცხოვრება და საქმიანობა.

ორატორი დაწვრილებით შეეხო გორის რაიონის მშრომელთა წარმატებებს, რომლებიც საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის დაასახელეს. ამ მიღწევებს განსაკუთრებული წვლილი შემატეს გორის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივებმა, რომლებმაც ქვეყანაში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს, აგრეთვე რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებმა — ვარიანისა და შავშვების საბჭოთა მეურნეობებმა, სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ.

ამხ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა გამარჯვებულთ, უსურვა მათ ახალი წარმატებანი ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გორის რაიონის მშრომელებმა კარგი სამეურნეო მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული წელი. რაიონის ათივე სამრეწველო საწარმომ დიდი გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. რეალიზებულია 59,1 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც ასევე აღემატება საგეგმო დავალებებს. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპმა შეადგინა 7,2 პროცენტი, რაც გეგმაზე 2,2 პროცენტით მეტია. საგულისხმოა, რომ რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა პირნათლად შეასრულეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის შემდეგ ნაკისრი ვალდებულებანი. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 7,9 პროცენტით. ეს მაჩვენებელი გაცილებით აღემატება წინა წლისას. საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

სოფლის მშრომელებმა კიდევ ერთი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს წამყვანი დარგის— მეხილეობის განვითარებაში. შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 138 ათასი ტონა ხილი, გეგმაზე ხუთი ათასი ტონით მეტი. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ვარიანის, კარალეთის საბჭოთა მეურნეობების, სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობის, ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმისა და სკრის საცდელი სადგურის შრომითმა კოლექტივებმა. დიდი წარმატებანია მიღწეული მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის წარმოებასა და დამზადებაში. თითქმის 105 პროცენტით შესრულდა სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის გეგმა. გარკვეული წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობაში. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის დამზადების გეგმა.

რაიონის მშრომელთა საერთო წარმატებებს თავისი წვლილი შემატა შავშვების საბჭოთა მეურნეობამაც. მისმა კოლექტივმა გასული სამეურნეო წელი მნიშვნელოვანი მოგებით დაამთავრა: დაგეგმილი 820 ათასი მანეთის ნაცვლად მიღებულია 890 ათასი მანეთი მოგება, რეალიზებულია თითქმის 4,7 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც ასევე სჭარბობს დაგეგმილს.

წარმატებებია მიღწეული მარცვლეულის წარმოებაშიც. თავთავიანი კულტურების ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ დაგეგმილი 19 ცენტნერის ნაცვლად შეადგინა 44 ცენტნერი. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვეს მშრომელებმა ლობიოს წარმოებაში — 56 ჰექტარი ნათესის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 21,2 ცენტნერი მოსავალი 12 ცენტნერის ნაცვლად. შესრულდა აგრეთვე ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლისა და ხილის წარმოების გეგმები.

პარტიის გორის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი დიდ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. სასოფლო საბჭოები, მათი აღმასკომები ნიადაგ ზრუნავენ მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სწორი ორგანიზაციისა და განვითარებისათვის. ამ საქმეში მათ დიდ დახმარებას უწევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

გასული წლის შედეგების მიხედვით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ტრადიციისამებრ მოწინავეთა შორის არიან კარალეთის და სკრის სასოფლო საბჭოები. მათ ტოლს არ უდებენ ბერბუკის, ტყვიავის, ხიდისთავის, ტინისხიდის, ტირძნისისა და სხვა სოფლსაბჭოებიც.

მიღწეულ წარმატებებთან ერთად რაიონის სამრეწველო საწარმოთა საქმიანობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი და ხარვეზები. თითქმის ვერც ერთი საწარმო ვერ ართმევს თავს ასორტიმენტის გეგმას. საკმარისია აღინიშნოს, რომ 22 დასახელების პროდუქციიდან გეგმა შეუსრულებელი დარჩა შვიდ სახეობაში.

მეტ წილ სამრეწველო საწარმოებში კვლავ შეიმჩნევა სამუშაო დროის დანაკარგები. გასულ წელს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ წამატებათა გამოვლენის მიზნით მოაწყო შემოწმება, რომელმაც ცხადყო, რომ ბევრ საწარმოსა და მეურნეობაში ურიგდებოდნენ ბოროტმოქმედებას, კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას. ასეთი ფაქტები გამოვლინდა 28-დან 25 შემოწმებულ ორგანიზაციაში.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს რაიონის წამყვანი დარგის — მეხილეობის აღმავლობისთვისაც, თქვა შემდეგ დეპუტატობის კანდიდატმა. აქ სრულად არ გამოიყენება მეურნეობათა პოტენციური შესაძლებლობანი. გასულ წელს მათ აწარმოვეს საშუალოდ 67,4 ცენტნერი ხილი ჰექტარზე. ეს საგეგმო მაჩვენებელზე ნაკლებია. ხოლო ცალკეულ მეურნეობებს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირე აქვთ. მაგალითად, ნიქოზის საბჭოთა მეურნეობაში ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ შეადგინა 16 ცენტნერი, მეჯვრისხევში — 25, ტირძნისში — 26, ზერტში — 38, ახრისში — 37, შინდისში — 42 ცენტნერი და ა. შ. მარტო სოფლების მეჯვრისხევის, ზერტის, მერეთის, დიცის, ნიქოზის, ტირძნისის, ძევერის, შინდისის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს დააკლეს 18 ათას ტონაზე მეტი ხილი.

აქედან სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანონ რაიონის პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა, აგროსამრეწველო გაერთიანებამ.

21 საზოგადოებრივი მეურნეობიდან, რომლებიც ბოსტნეულის წარმოებაზე არიან დასპეციალებულნი, ცხრას არ შეუსრულებია დამზადების გეგმა. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა მევენახეობაშიც. 19 მეურნეობიდან მხოლოდ ოთხმა შეასრულა გეგმა. ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ საკითხს სოფლების ახრისის, მეჯვრისხევის, ზერტის, ახალუბნის, ხიდისთავის, ქვახვრელის, ატენის მეურნეობათა ხელმძღვანელები.

თუმცა 1983 წელთან შედარებით რამდენადმე მეტი რძეა წარმოებული, ეს მაინც ვერ შველის საქმეს. გასული წლის შედეგების მიხედვით რაიონს გვარიანი დავალიანება აქვს. 28 მეურნეობიდან რძის დამზადების გეგმა არ შეუსრულებია 18-ს.

ზოგიერთი მეურნეობა ხორცის დამზადების გეგმას ასრულებს მეცხოველეობის ფერმებში გავრცელებული დაავადების გამო პირუტყვის იძულებითი დაკვლის ხარჯზე, ხოლო მეურნეობათა უმრავლესობა — მოსახლეობის მიერ კოოპერირებულ საწყისებზე წარმოებული პროდუქციის ხარჯზე. სამწუხაროდ, ბევრგან ირღვევა კოოპერირების პრინციპი. ხშირად მოსახლეობაში შესყიდულ პირუტყვს უშუალოდ აბარებენ სახელმწიფოს და მეურნეობას კი უთვლიან. ეს უკანონობაა. ასეთი მოქმედება თუ დროზე არ აღვკვეთეთ, მას შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს. უნდა გვახსოვდეს: საზოგადოებრივი წარმოება ქვეყნის სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის საფუძველია და საჭიროა ნიადაგ ვიზრუნოთ მისი ზრდისა და ეფექტიანობისათვის.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ პირადი მეურნეობების განვითარებას, მაგრამ მათ მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვთ. ამიტომ გეგმების შესრულება, უწინარეს ყოვლისა, ყოველთვის უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივ სექტორში წარმოებული პროდუქციის ხარჯზე.

პირადი მეურნეობანი — კოლექტიური მებაღეობა თუ კოოპერირება არ უნდა წარმოშობდეს ადამიანთა შორის კერძომესაკუთრულ მისწრაფებებს. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდაცვითი ორგანოები არ უნდა ურიგდებოდნენ ამ მეურნეობათა ორგანიზაციის პრინციპების დარღვევებს. არავითარი სიახლე, ინიციატივა, თაოსნობა, ექსპერიმენტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პარტიისა და სახელმწიფოს ფუძემდებელ პრინციპებს, სოციალიზმის პრინციპებს.

დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრების თავიდათავია, თქვა ორატორმა, მათი განაწესი, რომლის განხორციელებაც ხალხის რჩეულის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია.

საჭიროა მკაცრად გავაანალიზოთ მიღწეული, სერიოზულად მოვიფიქროთ, რა გაკეთდა კარგად და რა—არა. უნდა ვილვაწოთ იმისათვის, რომ ამომრჩეველთა ყველა განაწესი ხორციელდებოდეს, ეს კი მოითხოვს სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

შემდეგ პ. გ. გილაშვილი შეეხო საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრებისადმი ადამიანთა დამოკიდებულების საკითხებს. ხშირად, თქვა მან, გაისმის უკმაყოფილო ხმები ფართო მოხმარების საქონლის, ზოგიერთი სასურსათო პროდუქტის ნაკლებობის გამო. ეს რა თქმა უნდა, მაშინ ხდება, როდესაც მათ საკმარისი რაოდენობით არ უშვებენ, მაგრამ მიზეზი მარტო ეს არ არის. იგი სხვაგანაც უნდა ვეძებოთ. ხალხის გარჯით შექმნილი არსებული დოვლათის გონივრული და ზომიერი გამოყენება ჩვენი სიმდიდრის გამრავლების ერთ-ერთი ნაცადი და საიმედო ხერხია. სახალხო დოვლათის მომჭირნე ხარჯვა, მისი ზრდა ადამიანთა საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ყოველთვის იყო და არის პარტიისა და სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანი.

პარტია გვასწავლის: არ დავუშვათ ზედმეტობანი მშენებლობაში, აღვკვეთოთ მოჩვენებითი, ეგრეთ წოდებული პრესტიჟული ნაგებობების მშენებლობის ცდები. ადამიანებს უნდა ვუნერგავდეთ გონივრული მოთხოვნილებების ჩვევებს, ვზრუნავდეთ სახალხო დოვლათისათვის, აღვკვეთოთ დატაცების ფაქტებს, მკაცრად მოვკითხოთ იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვით სახელმწიფო სახსრების უყაირათო ხარჯვაში.

კულტურის უმაღლესი გამოვლინება, უწინარეს ყოვლისა, ის არის, თუ როგორია წესრიგი სოფლად თუ ქალაქად, როგორ ეკიდებიან შრომასა და ყოფას ადგილობრივი მცხოვრებნი, როგორია მათი მორალური და ზნეობრივი პრინციპები, როგორ იცავენ ისინი საერთო-სახალხო სიმდიდრეს, რა სულისკვეთებით ზრდიან ახალგაზრდა თაობას, როგორ ზრუნავენ შრომისა და ომის ვეტერანებისათვის.

ასეთი კულტურა მაღალი შეგნების, დისციპლინის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამოვლინებაა. წმინდად უნდა ვინახავდეთ ხსოვნასა და გულში საუკეთესო ადამიანთა სახელებს, ღირსსახსოვარ მოვლენებს, რომლებიც ნიშანსვეტებად იქცა ჩვენს ცხოვრებაში, საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში. გამარჯვების პარკები, ზვრები, ბაღები, ხეივნები და წყაროები ომიდან შინ მოუსვლელ გმირთა პატივსაცემად — ეს არის შესანიშნავი ძეგლები დაღუპულთა ხსოვნისა, რომლებიც მუდამ შეახსენებენ შთამომავალთ მათს პატიოსან, ვაჟკაცურ ცხოვრებას, უზენაეს მოვალეობას, სამშობლოს წინაშე რომ მოიხადეს.

ცნობილი ჭეშმარიტებაა: იმისათვის, რომ კარგად ვიცხოვროთ, კარგად უნდა გავისარჯოთ. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ხშირად ვიჩენთ გაუმართლებელ სიმშვიდეს, გულგრილობას, როდესაც გვერდით ვხვდავთ ადამიანებს, უშრომელი შემოსავლით რომ ცხოვრობენ. ყოველი ჩვენგანის, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების, კომკავშირელების, სახალხო დეპუტატების ვალია — ავიმაღლოთ ხმა ასეთი მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ, ძირეულად აღვკვეთოთ ისინი.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოებში 51600-ზე მეტი დეპუტატია, აქედან 1200 გაერთიანებულია გორის რაიონის საბჭოებში. ისინი მოწოდებული არიან მთელი თავიანთი საქმიანობით გაამართლონ ამომრჩეველთა ნდობა, მუდამ იყვნენ წაყენებული მოთხოვნების მოწოდების სიმაღლეზე.

იყო სახალხო დეპუტატი — ეს დიდი პატივი და უდიდესი პასუხისმგებლობაა. ასეა ჩაწერილი კანონში. ოღონდ ერთმანეთში არ უნდა შეგვეშალოს ორი ცნება— მოვალეობა და პატივი. იმისათვის, რომ მოიხვეჭო ნდობა, გაამართლო ამომრჩეველთა იმედი, წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს ხალხის რჩეულის პასუხისმგებლობა. გადასაწყვეტი საკითხები ხომ ჯერ კიდევ ძალზე ბევრია. კვლავ საჭირბოროტო პრობლემად რჩება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მეურნეობის რაციონალური გაძღოლა, მატერიალური, ფინანსური და სხვა რესურსების ყოველმხრივი ეკონომია, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება. საჭიროა მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ იმ საქმეს, რომ უზრუნველვყოთ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმის უცილობელი შესრულება და გადაჭარბება, მაღალი შრომითი მიღწევებით შევეგებოთ სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

დეპუტატები ამ მხრივ სანიმუშონი უნდა იყვნენ, გამოდიოდნენ ყოველივე ახლის, პროგრესულის თაოსნებად, მეტს ზრუნავდნენ ადამიანთა საჭიროებების, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, ჩვენი წყობილებისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიის პრინციპების უმკაცრესი დაცვის უზრუნველსაყოფად.

დასასრულ პ. გ. გილაშვილმა ერთხელ კიდევ მოახსენა მადლობა ოლქის ამომრჩევლებს, რომლებმაც დაასახელეს და მხარი დაუჭირეს მის კანდიდატურას რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში და აღუთქვა მათ, რომ მთელ ძალ-ღონესა და ენერგიას მოახმარს კომუნისტური პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებას, ერთგულად ემსახურება მშობელ ხალხს. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა ა. თ. კოზაევი პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მის გადაყვანასთან დაკავშირებით.

პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ამხ. გ. ვ. კოჩიევი, რომელიც ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ჯ. ა. ბერიძე.

ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია

გაიმართა ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ გაათავისუფლა ამხ. გ. ვ. კოჩიევი ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მის არჩევასთან დაკავშირებით.

ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს ამხ. ზ. ი. ჯიოევი, რომელიც სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგედ მუშაობდა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ჯ. ა. ბერიძე. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებებით:

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ელენე ვასილის ასული ყიფშიძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით თბილისის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი ამხ. ლერი ვარლამის ძე პაქსაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

„...ჩვენი მუშაობის ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს სოფლად დემოკრატიის განვითარებისათვის დღენიადაგ ზრუნვა".

ე. შევარდნაძე.

დირექტორის ატესტაცია

◆ დმანისლების კიდევ ერთი საინტერესო სიახლე ◆ საზოგადოებრივი ატესტაციის ძალა ◆ პიროვნების ავ-კარგი მისხალ-მისხალ იწონება ◆ თუ კოლექტივი პასუხისმგებლობაზე ხელს აიღებს...

დმანისლებს ჩაის საწონი ფაბრიკა აქვთ. პრესის საშუალებით ამის შესახებ უკვე ვიცით. ჩვენ მარტო იმას შევახსენებთ, რომ ამ ფაბრიკის ამუშავებით კარგი საქმე გაკეთდა. ჯერ ერთი და მთავარი ის, რომ ადამიანებს აქვთ სამუშაო. სხვა რაიონებში რომ არც ჰყოფნით ხოლმე მუშახელი, დმანისში შრომითი რესურსები ჭარბად არის.

პოპულარული და შემოსავლიანი საწარმო გახდა ჩაის საწონი ფაბრიკა, ეს წარმოება იმითაც არის მომგებიანი, რომ მის ამუშავებას დიდი კაპიტალდაბანდებანი არ დასჭირვებია. იყო ერთი მიგდებული შენობა, რომელიც სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ ისეთ ფაბრიკად გადაკეთდა, სადაც ასამდე ადამიანი შრომობს და მილიონობით მანეთის პროდუქციას ქმნის. მარტო შარშან ფაბრიკას დაგეგმილი ჰქონდა, რომ 1.800 ტონა მწვანე ბაიხაო ჩაი დაეფასოებინა. სინამდვილეში დმანისლებმა 1913 ტონა ჩაი დააფასოეს და საგეგმო 9.108 ათასი მანეთის ნაცვლად 9.823 ათასი მანეთის პროდუქცია შექმნეს. ჩვენს საუბარში მერე ციფრებზე ლაპარაკი აღარ გვექნება, ამიტომ ერთიც ვთქვათ და ამით მოვამთავროთ: დმანისის ჩაის საწონმა ფაბრიკამ საწარმოო გეგმა შეასრულა 107,9 პროცენტით, რეალიზაციისა — 110,7 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია 33 ათასი მანეთის ეკონომია.

აი, ამ ახალგაზრდა და უკვე სახელმოხვეჭილ საწარმოში უჩვეულო კრება გაიმართა. ფაბრიკის მშრომელებს „სამსჯავროზე" ჰყავდათ და ახასიათებდნენ თავიანთ დირექტორს გ. ჩიგოგიძეს. ამავე დროს მომარჯვებული ჰქონდათ სხვადასხვა კომპეტენტური ორგანოს აზრი. ერთი სიტყვით, დირექტორის ავ-კარგი მისხალ-მისხალ იწონებოდა. გავყვეთ კრების მსვლელობას.

კომუნისტ გ. ჩიგოგიძის საზოგადოებრივი დახასიათებიდან:

...ამხანაგი გ. ჩიგოგიძე კვალიფიციური სპეციალისტი და კეთილსინდისიერი მუშაკია. აქვს კარგი ორგანიზატორული თვისებები. საწარმოს კოლექტივი მისი ხელმძღვანელობით ყოველწლიურად მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. იზრდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. ფაბრიკის დირექტორი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არის პარტიის დმანისის რაიონული კომიტეტის წევრი, რაისაბჭოს დეპუტატი. აქტიურად ზრუნავს შრომითი კოლექტივის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად.

ყოველივე ამასთან ერთად ფაბრიკის დირექტორს ახასიათებს ნაკლოვანებები. იგი ხელმძღვანელია და მის პირად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ წელს იანვარში არ შესრულებულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. ნაკლებად ზრუნავს შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, სისტემატური კონტროლი ვერ დაუწესა ვაგონების დროულ დატვირთვა-გადმოტვირთვას. ზოგჯერ ირღვევა საფინანსო დისციპლინა, ვერა და ვერ მოიცალა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. თავის საზოგადოებრივ საქმიანობას ზოგჯერ ფორმალურად ეკიდება.

ამხანაგმა გ. ჩიგოგიძემ სისტემატურად უნდა იმუშაოს ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. მისთვის აუცილებელია, რომ მუშაობაში სხვათა აზრიც გაითვალისწინოს.

ამხანაგ გ. ჩიგოგიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ატესტაციასთან დაკავშირებით პარტიული, საბჭოთა, მაკონტროლებელი და შემმოწმებელი ორგანოების ოფიციალური ცნობა:

საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის განყოფილებები თვლიან, რომ ამხანაგი გ. ჩიგოგიძე თავის მოვალეობას კარგად ასრულებს. მისი შრომა დადებით შეფასებას იმსახურებს. ამასთანავე პარტიის რაიონულ კომიტეტს მიაჩნია, რომ ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორმა მეტად უნდა იზრუნოს მშრომელთა სამუშაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. სრულყოფილი უნდა გახდეს შრომის ორგანიზაცია. არ უნდა დაუშვას სახელმწიფო გეგმის ჩამორჩენა ცალკეული მაჩვენებლებით.

რაისაბჭოს აღმასკომი აღნიშნავს, რომ დეპუტატი გ. ჩიგოგიძე დაკავებულ თანამდებობას იმსახურებს თავისი ცოდნითა და გამოცდილებით. ამასთანავე მიუთითეს, რომ ფაბრიკის დირექტორმა უნდა მიხედოს სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო პირობებს, სასაწყობო მეურნეობის გაფართოებას, შრომითი დისციპლინის განმტკიცებას, სოციალისტური საკუთრების დაცვას.

რაიონული გაზეთის „თრიალეთის" რედაქციასთან გ. ჩიგოგიძე კარგად თანამშრომლობს.

რაიონის პროკურატურაში არ არსებობს მასალები ფაბრიკისა და მისი კოლექტივის ცალკეული წევრების მიმართ (ადრე ყოფილა და დირექტორმა შეძლო სწორი დასკვნების გამოტანა).

სახელმწიფო ბანკი იტყობინება, რომ ფაბრიკას ხელფასი დროულად გააქვს და გადახარჯვა არასოდეს მომხდარა.

ამ ცნობაში ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორის პიროვნების დასახასიათებლად თავიანთი აზრი გამოთქვეს აგრეთვე რაიონის სამხედრო კომისარიატმა, რაიფინგანმა, საქართველოს ალკკ დმანისის რაიკომმა, თავად ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ.

დირექტორის საზოგადოებრივი ატესტაციის დამტკიცებაში მონაწილეობდნენ მშრომელები

დ. აბდულაევა (დაფასოების საამქროს ბრიგადირი): — ჩვენი დირექტორი თავმდაბალი, პატიოსანი და კეთილსინდისიერი კაცია, როგორც საწარმოში, ისევე პირად ცხოვრებაში სანიმუშოა, კარგი ორგანიზატორია. უნარი შესწევს სწორად შეაფასოს წამოჭრილი პრობლემები და ასევე სწორად გადაჭრას ისინი.

ამასთანავე ამხანაგ ჩიგოგიძეს ყოველთვის როდი ძალუძს იყოს მოთხოვნათა იმ დონეზე, რომელთაც ჩვენ თანამედროვე ხელმძღვანელს ვუყენებთ. ყოველთვის როდი ზრუნავს ადამიანებზე, ზოგჯერ უხეშიც არის. სათანადო ყურადღებას არ აქცევს სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემებს.

ც. ოქრიაშვილი (პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი): — ჩვენი დირექტორის გ. ჩიგოგიძის დახმარებით ზოგჯერ კარგ საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ მას აქვს პირადი ნაკლოვანებები. არ არის სათანადოდ პრინციპული და მომთხოვნი. ძირითადად ფაბრიკის სამეურნეო დავალებების შესრულებაზე ფიქრობს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ფაბრიკის ახალგაზრდობასთან მუშაობას.

ქ. კალანოვა (ცვლის უფროსი): ბრიგადებში ვერა და ვერ დავდგით დასაწებებელი აპარატები. არა გვაქვს ავტომატური სასწორები. დირექტორის უარყოფითი პირადი თვისებებიდან კი იმას მოგახსენებთ, რომ იგი თანამშრომლების მიმართ ზოგჯერ უხეშია.

ქ. კალანოვა (მთავარი ეკონომისტი): — იანვარში ვერ შევასრულეთ რეალიზაციის გეგმა. ჩემი აზრით, იმიტომ, რომ დირექტორმა სათანადო ყურადღება ვერ გამოიჩინა.

მ. ვალიევა (დამფასოებელი): — ჩვენი დირექტორი ყოველთვის როდი უთმობს ყურადღებას წარმოებაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას, ნაკლებად აქტიურობს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ე. ჩარუხაძე (პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე): — დირექტორს რომ სათანადო ყურადღება და ოპერატიულობა გამოეჩინა, დღეს საწარმოს ტერიტორია უფრო კეთილმოწყობილი იქნებოდა. დირექტორმა მეტი უნდა იზრუნოს შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

დირექტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ატესტაციაზე მუშამოსამსახურეებმა დაადგინეს:

ამხანაგი გ. ჩიგოგიძე ხასიათდება დადებითად. ამასთან მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სახელმწიფო გეგმების შესრულებას, საწარმოს შემდგომ გაფართოება-გაძლიერებას. საწარმოო-საშტატო დისციპლინის განმტკიცებას, ვაგონების დროულ დატვირთვა-გადმოტვირთვას, საზოგადოებრივ საქმიანობას, სამუშაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

(მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიზანშეწონილად ცნო გ. ჩიგოგიძის დირექტორის თანამდებობაზე დატოვება. ამასთანავე ჩაის საწონი ფაბრიკის მშრომელებს დ. მურადოვს, ე. ჩარუხაძეს, ხ. კალანოვას, ც. ოქრიაშვილს და მ. მარკინს დაევალათ კონტროლი გაუწიონ მიღებული დადგენილების შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ე. ბერიძის კომენტარი:

მთელ ჩვენს ქვეყანაში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს მართვის დემოკრატიული პრინციპების გაფართოებისა და განვითარებისათვის. ეს ლოგიკურია, რადგან განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში მართვის მთავარ პრინციპად დგება ხალხის ფართო მონაწილეობა მართვაში. ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ დღეს მშრომელის (მუშა იქნება თუ გლეხი) გონებრივი განვითარების დონე ერთობ მაღალია. ისინი კომპეტენტურნი გახდნენ ქვეყნის ამოცანების გადაწყვეტაში. ამიტომ კადრებთან მუშაობის ზოგიერთი ფორმა მოძველდა, ჩამორჩა დღევანდელ მოთხოვნათა დონეს. სწორედ ამ საკითხებისადმი საყურადღებო მიდგომას, ძიებას და ეფექტიანი საშუალებების გამონახვას გულისხმობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. შევარდნაძის რუხში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ნათქვამი: „...იქნებ უსაფუძვლო არ იყოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ არჩევითი გაგვეხადა საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელის თანამდებობა". საქართველოს კომუნისტების მეთაურის ეს გამონათქვამი, დიახაც რომ, ძიებისაკენ გვიბიძგებს.

პარტიის დმანისის რაიკომმა გადაწყვიტა თავის მუშაობაში მიეღო და დაემკვიდრებინა ისეთი ფორმა, როცა შრომითი კოლექტივები უშუალოდ მონაწილეობენ ხელმძღვანელის შერჩევასა და დანიშვნაში, მათი მორალური და საქმიანი თვისებების გამომჟღავნებასა და სრულყოფაში. ასეთ ფორმად გამოვძებნეთ და შევიმუშავეთ ხელმძღვანელი კადრების საზოგადოებრივი ატესტაციის ფორმა. რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, რომ:

შემუშავებულია გრაფიკი, თუ სად, როდის, რომელ შრომით კოლექტივში უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი ატესტაცია. ამით შრომითი კოლექტივები წინასწარ არიან ინფორმირებული და ემზადებიან ატესტაციისათვის. ამასთანავე პარტიის რაიონული კომიტეტი აგროვებს ხელმძღვანელი პირების ოფიციალურ დახასიათებას. აქ თავს იყრის, სამინისტროსა თუ უწყების, რაიონის მაკონტროლებელი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ შეფასება-დახასიათებანი. მოკლედ რომ ვთქვათ, ხელმძღვანელის პიროვნებას ყოველმხრივ შეისწავლიან და მერე იგი თავისი კოლექტივის „სამსჯავროზე" წარდგება. აქ მისი დადებითი თუ უარყოფითი თვისებები კარგად გამოჩნდება. ფაქტები თავად ლაპარაკობენ. უკვე ადვილია საერთო საზოგადოებრივი აზრის გამოტანა. ამ ფორმას სამართლიანად ეწოდება საზოგადოებრივი ატესტაცია, რასაც განიხილავს და ამტკიცებს კრება. ამის შემდეგ ამ პიროვნების დახასიათების მასალები მიდის პარტიის რაიონულ კომიტეტში და რაიკომი ამის მიხედვით ადგენს ამა თუ იმ ხელმძღვანელთან მუშაობის გეგმას, რათა ამ უკანასკნელმა თავისი ნაკლოვანებანი გამოასწოროს.

საზოგადოებრივი ატესტაციის ფორმა საშუალებას გვაძლევს კადრებთან მუშაობისას ძალიან ობიექტურნი ვიყოთ. შრომითი კოლექტივი უფლებამოსილი იქნება, რომ ხელმძღვანელს პირველად მიუთითოს ნაკლოვანებებზე, ხოლო თუ იგი არ გამოსწორდება, შემდგომ ამისა პარტიის რაიონულ კომიტეტში საზოგადოებრივი ატესტაციის საშუალებით მწვავედ დააყენოს მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. აქ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: საზოგადოებრივი ატესტაციის დამტკიცებისას შრომითი კოლექტივი კისრულობს კოლექტიურ პასუხისმგებლობას თავისი ხელმძღვანელის მიმართ, რა თქმა უნდა, თუ იგი ამის ღირსია. თუ არა, კოლექტივი უარს ამბობს თავის პასუხისმგებლობაზე უფროსის მიმართ.

დმანისელების მიერ წამოწყებული ეს საქმე ჯერ ახალია. იგი თავისებური ექსპერიმენტია. თუ საზოგადოებრივი ატესტაციის ფორმა შემდგომში უფრო დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება, ამით საშუალება გვექნება ძალიან ბევრი თანამდებობა პრაქტიკულად არჩევითი გავხადოთ, ამასთანავე შრომითს კოლექტივს უფლება ექნება თავად აკონტროლოს თავისი რჩეულის სახელმძღვანელო საქმიანობის ავ-კარგი.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ჟურნალების ახალი ნომრები

„საქართველოს კომუნისტი" № 2

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" თებერვლის ნომერი.

ჟურნალი ბეჭდავს მოწინავე წერილს სათაურით — კრიტიკის და თვითკრიტიკის ნიშნით. ანშლაგით — განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პრობლემები: თეორია და პრაქტიკა, გამოქვეყნებულია თ. ლაშქარაშვილის — ხალხის ხელისუფლება, ვ. ადეიშვილის — ეკონომიკური მეცნიერებები და სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, ი. ქობალიას — დემოკრატია და დისციპლინა, ა. მუჯირის —ეროვნული ურთიერთობა, როგორც მართვის ობიექტი.

განყოფილებაში ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილებიდან დასტამბულია ქ. ბოგოლიუბოვის — პარტიის დოკუმენტებზე მუშაობა — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად ჟურნალი ბეჭდავს გ. კუპუხიძის სტატიას — არსებული რეზერვების ამოქმედებით. რუბრიკით —მთები და ადამიანები — ვეცნობით თ. ოჩიაურისა და დ. მჭედლურის წერილებს. მეცნიერება — წარმოებას — ამ რუბრიკით ქვეყნდება ც. მირცხულავას — მელიორაცია და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით დასტამბულია ქ. ცქიტიშვილის, ვ. ფაჩულიას, გ. აბდალაძის, გ. ახმეტელის წერილები.

„პარტიული სიტყვა" № 3

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" მორიგი, მესამე ნომერი.

ნომერში ვეცნობით სარედაქციო წერილს — წელი დამმთავრებელი, წელი შემხვედრი. არჩევნების დღის შესახვედრად გამოქვეყნებულია ვ. სირაძის სტატია — დაე, უფრო შთამაგონებლად ჟღერდეს აგიტატორის სიტყვა, რუბრიკით წარსული — აწმყოს სამსახურში — დასტამბულია გ. ბრეგაძის წერილი.— დიდი ოქტომბრის „გენერალური რეპეტიცია", რუბრიკით წელი დამმთავრებელი, წელი შემხვედრი — ვეცნობით ა. ზედგინიძის სტატიას — აეროპლანიდან აერობუსამდე; სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად დაბეჭდილია ნ. ცინცაძის წერილი —რატომ უნდა გვიწუნებდნენ ნახელავს?

სოციალისტურ ქვეყნებში

ჩეხოსლოვაკია

ფართო პროგრამით

პრაღა. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატამ გამარჯვებისა და საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 40 წლისთავის წელს დასახა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების აქტუალურ პრობლემებზე გამოფენების, ბაზრობების, სიმპოზიუმების, კონფერენციების ფართო პროგრამა. საიუბილეო წელს მისი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა იქნება ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დღეების ორგანიზაცია, რომლებიც გაიმართება მიმდინარე წლის გაზაფხულზე და ზაფხულში საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში.

ამჟამად პალატის წევრები არიან ორი ქვეყნის 300-ზე მეტი მსხვილი საწარმოო და საგარეო-სავაჭრო გაერთიანება, მათ შორის „ჩკდ-პრაღა", „შკოდა-პლზენი", „მაშპრიბორინტორგი", „ავტოექსპორტი", „სტანკოიმპორტი" და ბევრი სხვა.

უნგრეთი

ნოვატორთა წვლილი

ბუდაპეშტი. გაზარდონ წარმოების ეფექტიანობა დამატებითი ხარჯების გაუწევლად — ამ ამოცანას წარმატებით წყვეტენ უნგრეთის საფეიქრო გაერთიანება „ბუდაფლაქსის" ნოვატორები. მარტო შარშან მათი მეცადინეობის მეოხებით, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდის გარდა, დაიზოგა 10 მილიონ ფორინტზე მეტი საერთო თანხის ენერგია, ნედლეული და მასალა.

ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლების 40 წლისთავისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მომავალი XIII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების ფარგლებში, ნოვატორებს დაგეგმილი აქვთ ახალი წვლილი შეიტანონ საფეიქრო წარმოების რენტაბელობის ამაღლებაში, მნიშვნელოვნად გააქტიურონ თავიანთი საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ მარტო ერთი წლის მანძილზე მშრომელთა მიერ შეტანილი რაციონალიზატორული წინადადებების რიცხვი ერთიორად და მეტად გაიზარდა.

ბულგარეთი

ავიატორები —სოფელს

სოფია. ბულგარეთის სამოქალაქო ავიაციის „ბალკანის" სასოფლო-სამეურნეო ავიაციის ქვეგანაყოფის მშრომელებმა მაღალი შრომითი მიღწევებით აღნიშნეს ამ ქვეგანაყოფის შექმნის 85 წლისთავი.

ქვეგანაყოფს საფუძველი ჩაეყარა „პო-2" ტიპის სამი საბჭოთა თვითმფრინავის გამოყენებით ტყის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლაში, უთხრა საკდესის კორესპონდენტს მისმა დირექტორმა ი. ვილჩინოვმა. ბულგარეთის აგრარული სექტორის განვითარების სწრაფმა ტემპმა მოითხოვა ავიაქიმიური სამუშაოების მოცულობის გადიდება და ტექნიკური პარკის გაფართოება, რომელიც უკანასკნელ წლებში შეივსო ისეთი ტიპის თვითმფრინავებითა და ვერტმფრენავებით, როგორიც არის „ან-2", „ან-28", „მი-1", „კა-26" და სხვები.

შარშან ცინდ დაამუშავეს 5,3 მილიონ ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესი, ხოლო 1990 წელს ეს მაჩვენებელი 7 მილიონ ჰექტარს მიაღწევს. ავიაციას, რომელიც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის აგრარულ სექტორს ემსახურება, ევროპაში მეორე ადგილი უკავია სსრ კავშირის შემდეგ.

ამხილებენ ძირგამომთხრელი ორგანიზაციის ანტისოციალისტურ ზრახვებს

ვარშავა. ბრიუსელის ეგრეთ წოდებულ „სოლიდარობის" საკოორდინაციო ბიუროს და პოლონეთში მოქმედი შინაური ანტისოციალისტური იატაკქვეშეთის ძალებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ დასავლეთის დივერსიულ ცენტრებთან და სადაზვერვო სამსახურებთან, კერძოდ, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. ამას მოწმობს პოლონეთის ტელევიზიით ნაჩვენები გადაცემათა სერიის ავტორების მიერ შეკრებილი დოკუმენტური მასალები.

ბრიუსელის „სოლიდარობის" მოღვაწეთა კორესპონდენცია,

დასავლეთის დაზვერვების კმაყოფაზე

რომლებსაც ისინი უგზავნიან დასავლეთის პოლიტიკოსებს, დივერსიულ ცენტრებს ან პოლონეთის საწინააღმდეგო საქმიანობით ცნობილ პირებს, აგრეთვე პოლონეთში მოქმედ ანტისოციალისტურ იატაკქვეშეთთან სასამსახურო მიმოწერა ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ამ და დასავლეთში მისი მსგავსი ძირგამომთხრელი ორგანიზაციების საქმიანობაზე. დოკუმენტები დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ „საკოორდინაციო ბიუროს" მთავარი ამოცანა იყო და არის პოლონეთის საწინააღმდეგო საქმიანობა, იმის ცდები, რომ საზღვარგარეთის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს განაგრძობინონ სახალხო პოლონეთის მიმართ „ეკონომიკური სანქციების" პოლიტიკა, იზოლაციაში მოაქციონ იგი საერთაშორისო ასპარეზზე.

იმ პირთა სიაში, რომლებიც თანამშრომლობენ ბრიუსელის „ბიუროსთან", ფიგურირებენ ისეთი ოდიოზური ფიგურები, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ეროვნული უშიშროების დარგში, პირწავარდნილი რეაქციონერი და ანტიკომუნისტი ზ. ბჟეზინსკი, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს რომ კურატორობდა, ძირგამომთხრელი რადიოსადგურის „თავისუფალი ევროპის" პოლონეთის რედაქციის გამგე ზ. ნაიდერი, სახალხო პოლონეთის მტრები ე. გედროიცი, ქსენძ ბლიახნიცკი და ძმები სმოლიარები, პოლონეთში მოქმედი ანტისოციალისტური იატაკქვეშეთის ისეთი ლიდერები, როგორიც არის ბ. ლისი.

პოლონეთის ტელევიზიით ნაჩვენები ნამდვილი მასალები ცხადყოფს, რომ ბრიუსელის „სოლიდარობის" ბიურო წარმართავს ანტიპოლონური დაჯგუფებების მუშაობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ ბერლინში, დანიაში, ნიდერლანდში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, იტალიასა და ავსტრიაში, თანამშრომლობს მსგავს ორგანიზაციასთან საფრანგეთში. ამას გარდა, ეს ძირგამომთხრელი ორგანიზაცია, რომელიც დასავლეთის დაზვერვების კმაყოფაზეა, აფინანსებს პოლონეთში მოქმედ კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთის ანტისოციალისტურ საქმიანობას. ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ მიზნებისათვის ბრიუსელიდან პოლონეთში არალეგალურად გაიგზავნა 200 ათასი დოლარი, აგრეთვე დიდძალი თანამედროვე ელექტრონული და პოლიგრაფიული მოწყობილობა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ეყურადღებოდ არ დაუტოვებია ამ ძირგამომთხრელი ორგანიზაციის ანტისოციალისტური ზრახვები და ავანტიურები. 1982 წლიდან თვითმარქვია ბრიუსელის „ბიუროს" ხელმძღვანელობის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო მიმდინარეობს გამოძიება.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

20 თებერვალი ■ საკდესი იუწყება

პლანეტის ხალხები მოითხოვენ

აღიკვეთოს ამერიკის მილიტარისტული სამზადისი კოსმოსში

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატები გამალებით ემზადება კოსმოსის მილიტარიზაციისათვის. როგორც ჟურნალ „ავიეიშნ უიკ ენდ სფეის ტექნოლოჯისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" განმახორციელებელი ორგანიზაციის მეთაურმა გენერალმა ჯ. აბრაჰამსონმა, ამ პროგრამის ფარგლებში რაკეტსაწინააღმდეგო ტექნოლოგიის პირველი გამოცდა დედამიწისირგვლივ სივრცეში მოეწყობა 1987 წელს — მანამდე დასახულ ვადაზე ორი წლით ადრე. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ყოველწლიურად ორ-ორი ასეთი გამოცდა მოეწყობა. აბრაჰამსონის თქმით, „ახალი ტექნიკის სამუშაოების დასაჩქარებლად" გამოყენებული იქნება „შატლ" სისტემის მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდები. „აბრაჰამსონის აზრით, კოსმოსური გამოცდების დაჩქარება ახალ იმპულსს შემატებს სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას", — წერს ჟურნალი.

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტელევიზიის ცნობით, ბუნდესტაგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარემ ჰ.—ი. ფოგელმა ბრიუსელში ნატოს წარმომადგენელთა წინაშე გამოსვლისას თქვა, რომ ამერიკის გეგმები კოსმოსის მილიტარიზაციის თაობაზე მნიშვნელოვნად გაართულებს ჟენევაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალ მოლაპარაკებას. მან აღნიშნა, რომ „იზიარებს პარიზსა და ლონდონში რეიგანის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის თაობაზე გამოთქმულ სკეპტიციზმს. თუ ევროპის ქვეყნები ვერ შეძლებენ შეთანხმებულად მოქმედებას, ამას სერიოზული შედეგი მოჰყვება". კოსმოსში გამალებული შეიარაღების საფრთხის წინაშე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერს ექვსი სახელმწიფოს მეთაურების ამასწინანდელ მოწოდებას, რომ გაიყინოს შეიარაღება და მორატორიუმი დაუწესდეს ახალი სისტემების შექმნას, განაცხადა ფოგელმა.

ლონდონი. ვაშინგტონის ადმინისტრაციამ, წერს გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი", თითქმის უპრეცედენტო პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღა, რათა დაარწმუნოს დასავლეთევროპელი მოკავშირენი კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის „უპირატესობაში". ამ დღეებში დასავლეთ ევროპას მოედვნენ მაღალი თანამდებობის ამერიკელი ოფიციალური პირები, რომლებიც საჯარო კრებების ტრიბუნებიდან და კერძო შეხვედრების დროს ცდილობენ თავიანთი იდეის „გასაღებას", მაგრამ დასავლეთ-ევროპელები, ხაზს უსვამს „ფაინენშლ ტაიმსი", კვლავინდებურად შიშობენ რეიგანის „კოსმოსური ომების" პროგრამის გამო, ვინაიდან ვაშინგტონის გეგმები მსოფლიოში შექმნილი ძალთა დაახლოებითი წონასწორობის დარღვევას ისახავს მიზნად.

მეხიკო. პლანეტის ხალხები მოითხოვენ ბოლო მოეღოს ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ სამზადისს დედამიწისირგვლივ სივრცეში, განაცხადა მექსიკის სოციალისტური სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხ. კრუიკშანკმა. ამას მოწმობს, ხაზს უსვამს იგი გაზეთ „ექსელსიორში", მძლავრი ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მშვიდობისმოყვარე საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოწოდებანი, რომ ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, გამოცხადდეს მთელი რეგიონები ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონებად.

მშვიდობისათვის მებრძოლთა გასამართლება

ნიუ-იორკი. ამერიკის ქალაქ კანზას-სიტიში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის აქტივისტთა მორიგი სასამართლო პროცესი. სასამართლოს წინაშე წარდგნენ ჰელენ ვუდსონი, ლერი მორგანი, კარლ და პოლ კებატები, რომლებმაც შარშან 19 ნოემბერს მისურის შტატში სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე მოაწყვეს სიმბოლური საპროტესტო აქცია რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ბაზაზე დადგმულია „მინიტმენის" ტიპის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გასაშვები დანადგარები. მანიფესტანტებს ბრალად წაუყენეს „შეთქმულება მთავრობის საკუთრების მოსპობის მიზნით" და ახლა მათ ელით 25 წლამდე ვადით პატიმრობა და 33,5 ათასი დოლარი ჯარიმა.

ბრალდებულებთან სოლიდარობის ნიშნად მათმა ამხანაგებმა მოაწყვეს დემონსტრაციების სერია, კერძოდ, სასამართლოს შენობის წინ, აგრეთვე სარაკეტო ბაზის მახლობლად, სადაც დააპატიმრეს ვუდსონი, მორგანი და ძმები კებატები.

ფოტოფაქტი

ჩრდილოეთ ირლანდია

მძვინვარებს პოლიციური ტერორი

მეთექვსმეტე წელიწადია ინგლისის მთავრობა ჩრდილოეთ ირლანდიაში ამ პროვინციის მართვის კოლონიური მეთოდების მოწინააღმდეგეთა მიმართ სამხედრო-პოლიციური რეპრესიების გაძლიერებაზე ამყარებს იმედს. ლონდონი ცდილობს ოლსტერის სერიოზული პრობლემები ჯარისკაცის ხიშტებით, აღვირახსნილი სამხედრო და პოლიციური ტერორის მეშვეობით გადაწყვიტოს. 2 ათასზე მეტი მოკლული, ათიათასობით დაჭრილი და დასახიჩრებული —. ასეთია ბრიტანელ ხელისუფალთა „მოღვაწეობის" შედეგი.

სურათზე: ინგლისელი ჯარისკაცები ბელფასტის ქუჩებში.

საკდესის ფოტო.

პრესა ადასტურებს

საით მიდის ჯაშუშური უწყების მარწუხები

პარიზი. ხელისუფლების სათავეში რეიგანის ადმინისტრაციის მოსვლისთანავე მკვეთრად გაიზარდა პროგრესული სახელმწიფოების, უწინარეს ყოვლისა, განვითარებადი და სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირგამომთხრელი საქმიანობის მასშტაბი. ჟურნალ „აფრიკეიშის" მოწმობით, მთავარი ყურადღება დაეთმო „საიდუმლო ოპერაციების კოლოსალურ ზრდას", რომლებიც ბოლო ოთხ წელიწადში „ჩვეულებრივ საქმედ იქცა, ხოლო მათი რიცხვი ხუთჯერ გაიზარდა".

ამავე დროს ამერიკელ „ლაბადისა და ხანჯლის რაინდთა" ბინძური საქმეების შესახებ პრესაში თეთრი სახლისათვის არასასურველი ინფორმაციის მოხვედრის შიშით, პრეზიდენტმა რეიგანმა მკვეთრად შეზღუდა იმ პირთა წრე, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობის შესახებ საიდუმლო ინფორმაციაზე. იგი ამჟამად მხოლოდ რამდენიმე მაღალი თანამდებობის მოღვაწეს მოიცავს, მათ შორის არის თვით პრეზიდენტი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი უ. კეისი და ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ძირგამომთხრელი აქტების მთავარ სამიზნედ ცენტრალური ამერიკის ქვეყნების პროგრესული მთავრობები აქცია (ჟურნალის მოწმობით, იგი იქ თავისი საიდუმლო ოპერაციების თითქმის ნახევარს ახორციელებს), მისი მარწუხები ლამის მთელ მსოფლიოს მისწვდა, მათ შორის ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ვიეტნამს, კამპუჩიას, ლაოსს, მაროკოს, ჩადს, ლიბიას და ბევრ სხვა სახელმწიფოს.

სხვა ქვეყნების საქმეებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფარული ჩარევის გაფართოების გარდა, რეიგანის ადმინისტრაციამ გაზარდა ძალების რიცხვი არმიის, სამხედრო-საზღვაო ძალების, სამხედრო-საჰაერო ძალების, საზღვაო ქვეითი ნაწილების მიერ სპეციალური ოპერაციების განსახორციელებლად. ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში ყოფნის პერიოდში შეერთებული შტატების სპეციალური დანიშნულების ჯარების რიცხვი გაორკეცდა და 20 ათასს გადააჭარბა — ეს ყველაზე მაღალი დონეა ვიეტნამის ომის შემდეგ, — აღნიშნავს ჟურნალი „აფრიკეიშა".

ინდოეთი

უწესრიგობა გრძელდება

დელი. საგანგაშო ცნობები მოდის ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატიდან. როგორც გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია" იუწყება, იქ გრძელდება არეულობა, რომელიც პროვოკაციულად გამოიწვიეს პროპაკისტანური სეპარატისტული ორგანიზაციების ჯამაათ-ი-ისლამისა და ჯამაათ-ი-თულბას წევრმა ვაჟბატონებმა. ექსტრემისტებმა ცეცხლი წაუკიდეს ადმინისტრაციულ შენობებს, თავს ესხმოდნენ შტატის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს.

ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ ჯამუ და ქაშმირი კარგა ხანია ძირგამომთხრელი აქციების ობიექტად გაიხადა ისლამაბადმა, რომელიც ყოველნაირად აღვივებს ამ შტატში სეპარატისტულ განწყობილებებს და რელიგიურ-თემობრივ შუღლს. პაკისტანის სპეცსამსახურები გამუდმებით გზავნიან ჯამუსა და ქაშმირში ჯაშუშებსა და დივერსანტებს, იარაღს. ახლახან ინდოეთის პრესა იუწყებოდა, რომ ინდოეთის უშიშროების ორგანოებმა დააპატიმრეს ბევრი პაკისტანელი აგენტი, რომლებსაც სპეციალური მომზადება ჰქონდათ გავლილი პაკისტანის ტერიტორიაზე მოქმედ დივერსიულ-ჯაშუშურ ცენტრებში.

საბერძნეთი

მთავრობის კანონპროექტი

ათენი. საბერძნეთის მთავრობამ ა. პაპანდრეუს მეთაურობით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა დამსახურების აღიარების გზაზე. პარლამენტს განსახილველად გადაეცა კანონპროექტი იმ ბერძნებისათვის პენსიის დანიშვნის თაობაზე, რომლებიც 1946–1949 წლების სამოქალაქო ომის პერიოდში საბერძნეთის რეაქციის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ხოლო ქვეყანაში რეაქციული რეჟიმის დამყარების შემდეგ იძულებული იყვნენ საბერძნეთი მიეტოვებინათ.

ამ კანონპროექტის გამო გამართულ კამათში გამოსვლისას, პარლამენტის დეპუტატმა კომპარტიისაგან ქ. ლულესმა აღნიშნა მისი პოზიტიური როლი სამოქალაქო ომის შედეგების აღმოფხვრის საქმეში და განაცხადა, რომ საბერძნეთის კომპარტიის წარმომადგენლები ხმას მისცემენ ამ დოკუმენტს.

დიდი სამამულოს ქრონიკები

აი, რას წერდა გაზეთი „კომუნისტი" 40 წლის წინათ.
1945 წლის 15-21 თებერვალი

● **უკანასკნელ** რვა დღეს ყირიმში მიმდინარეობდა სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა — დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ უ. ჩერჩილის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ ფ. დ. რუზველტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის კონფერენცია საგარეო საქმეთა მინისტრების, შტაბების უფროსებისა და სხვა მრჩევლების მონაწილეობით.

● **ომი** სწრაფი ნაბიჯით უახლოვდება დასასრულს. მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ომისშემდგომი მშვიდობიანობისა და უშიშროების საკითხებს. ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია კაცობრიობის მომავალი ბედისათვის.

● **უკრაინის** 1-ლი ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე ოდერი ქალაქ ბრესლაუს ჩრდილო-დასავლეთით, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ხაზი ნეისეს ... მდინარის დასავლეთ ნაპირზე და შეტევითი ბრძოლების ოთხი დღის განმავლობაში წინ წაიწიეს 60 კილომეტრამდე.

● **ბელორუსიის** 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ბრძოლით დაიკავეს პომერანიაში ქალაქები დოიჩ-კრონე და მერკიშ-ფრიდლანდი.

● **უკრაინის** მე-4 ფრონტის (სარდალი — არმიის გენერალი პეტროვი) ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ კარპატის მთების ზოლის მთიან-ტყიანი ადგილის ძნელ პირობებში, იერიშით დაიკავეს ქალაქი ბელსკო მორავსკა ოსტრავას მისადგომებთან.

● **საბჭოთა** კავშირის მარშლები ჟუკოვი, კონევი და როკოსოვსკი დაჯილდოვდნენ პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი ორდენით.

● **უკრაინის** მე-2 ფრონტის (სარდალი — საბჭოთა კავშირის მარშალი მალინოვსკი) ჯარებმა უკრაინის მე-3 ფრონტის (სარდალი — საბჭოთა კავშირის მარშალი ტოლბუხინი) ჯარების დახმარებით თვე-ნახევრის ალყისა და დიდი ქალაქის ძნელ პირობებში შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, 13 თებერვალს, დაამთავრეს ბუდაპეშტში გარშემორტყმული მოწინააღმდეგის დაჯგუფების განადგურება და მთლიანად დაიკავეს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი — გერმანელთა თავდაცვის სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი კვანძი ვენისაკენ მიმავალ გზაზე.

● **ჩვენი** სახელოვანი წითელი არმია ძლევამოსილად მიიწევს წინ და დაუნდობლად ანადგურებს ფაშისტ მხეცს მისსავე ბუნაგში. უკრაინის 1-ლი (სარდალი კონევი), ბელორუსიის 1-ლი (სარდალი ჟუკოვი) და მე-2 (სარდალი როკოსოვსკი) ფრონტების ჯარებმა 14 და 15 თებერვალს გერმანიის ტერიტორიაზე და პოლონეთის დასავლეთ ნაწილში ბრძოლებით დაიკავეს მრავალი ქალაქი და დასახლებული პუნქტი.

● **სამშობლოს** სახელით დედაქალაქმა მოსკოვმა სალუტი მისცა ბელორუსიის მე-3 ფრონტის (სარდალი — არმიის გენერალი ჩერნიახოვსკი) მამაც ჯარებს, რომლებმაც, განაგრძობდნენ რა მოწინააღმდეგის ალმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფების გარემოცვის რკალის შევიწროებას, იერიშით დაიკავეს ქალაქები ვორმდიტი და მელზაკი.

ამის მეტს აღარ გიდარდებ...

საბჭოთა ხალხის სახელოვან შვილთა შორის, დიდი სამამულო ომის წლებში დიდების უკვდავი შარავანდედით რომ შემოსეს თავიანთი სახელი, ღირსეული ადგილი უკავია იტალიის რესპუბლიკის ეროვნულ გმირს, ჩვენს სახელოვან თანამემამულეს ფორე მოსულიშვილს.

პოეტები უმღერიან მის თავგანწირვას, ლექსებს უძღვნიან გმირის დედას, რომელმაც აღზარდა სახელოვანი შვილი.

იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის ვინაობის დადგენას, მის მიერ შორეულ იტალიაში გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობის შესწავლა-გამომზეურებას დიდი წვლილი დასდო საქართველოს სსრ დამსახურებულმა ჟურნალისტმა ედუარდ სიხარულიძემ.

ამჟამად გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" დასასტამბად ამზადებს მის ახალ მხატვრულ-დოკუმენტურ წიგნს მიძღვნილს ფ. მოსულიშვილისადმი. გთავაზობთ ერთ ნაწყვეტს წიგნიდან.

იმ საღამოს ცა მოიქუფრა.

ელვა გრუხუნით გაემზადა საავდროდ.

ამ მიზეზით ქვემომაჩხაანელების ნახირიც ადრევე გამოერეკათ ბიჭებს საძოვრებიდან. გაზინზლულმა, ლაფში ნაწოლმა კამეჩებმა რიგრიგობით მიაბლავლეს ეზოებს.

გზის ყურედანვე კარგად მოჩანდა ფორე მოსულიშვილის სახლი და ლარიბული კარ-მიდამო. მამაპაპისეული კაკალი, რიკულებიანი აივანი, აივანზე მდგარი ძველებური სკივრი.

თონესთან მოტრიალე, უამინდობის გამო ფეხაჩქარებულ, შავებში ჩაცმულ მაღალ ქალსაც რამდენჯერმე შევასწარი თვალი მანქანის ფანჯრიდან.

ფორეს დედა იყო, თებრო.

ამ დღეს პირველად ვნახე იგი და ალბათ ამის ბრალიც იყო, რომ ჭიშკართან მის სანუგეშებლად და წინასწარ გასამხნევებლად მოსულს, მუხლი აღარ მემორჩილებოდა, ველარ გამებედნა ეზოში შესვლა და შვილის გმირულად დალუპვისა, მაგრამ მაინც დალუპვის ამბის მიტანა.

შემეცოდა მოხუცი დედა...

დედა, რომელიც ოცდაათი წელიწადი ცრემლიანი იმედის თვალით გასცქეროდა გზას და ელოდა შვილის დაბრუნებას.

ამ იმედს გამართლება აღარ ეწერა...

სამშობლოდან ათასობით კილომეტრის დაშორებით, ცხრა მთას იქით შორეულ იტალიაში, ალპების ძირას განისვენებდა ფორე მოსულიშვილი, ახლა უკვე იტალიის ეროვნული გმირი და უმაღლესი სამხედრო ჯილდოს — „მხედრული მამაცობისათვის" ოქროს მედლის კავალერი.

ველარასოდეს ჩამოვიდოდა იგი ქვემო მაჩხაანში, ველარასოდეს ნახავდა ჭაღარა დედას, რძისფერ ნისლში გახვეულ ცივგომბორის მთებს, ალაზნის მწვანე ველს...

მეორე დღეს, დილით საქართველოს რადიო ქვეყანას ამცნობდა ფორე მოსულიშვილის მიერ სამამულო ომის წლებში იტალიაში გამოჩენილი არნახული ვაჟკაცობისა და თავგანწირვის ამბავს, ქართველი ხალხი გულში ჩაიხუტებდა, გაალმერთებდა მის სახელს და მეორედ დაიბადებოდა ფორე მოსულიშვილი, მაგრამ ახლა დაიბადებოდა, როგორც გმირი, როგორც ყველა ქართველი დედის შვილი.

მხოლოდ ეს თუ ანუგეშებდა და გაუქარვებდა დედას დიდ ტკივილს. კიდევ კარგა ხანს ვიდექი ფორეს ეზო-მიდამოს ზღურბლთან და ვერ ვბედავდი შესვლას.

ძნელი ყოფილა დედისათვის შვილის დაბრუნების იმედის წართმევა.

მალე ქვენა ქარმა შარაზე მტვერი აკრიფა, გორგალივით დაახვია, დაატრიალა, გზის პირას ჩამწკრივებულ ალვის ხეებს ტოტები დაულეწა, სადღაც სულ ახლოს ქუხილისაგან ცა ჩამოინგრა, ელვამ გაინავარდა ჰაერში და პირველი მსხვილი წვეთები დაასხდა მიწას...

მას შემდეგ თორმეტმა წელიწადმა განვლო.

ამ ხნის მანძილზე ბევრჯერ მინახავს და შევხვედრივარ გმირის დედას, ახლა უკვე დარდისაგან წელში მოდრეკილს და ცრემლგამშრალს.

აღარ ტიროდა შვილს. მისი მწუხარებაც ისეთივე მშვენიერი და ლამაზი იყო, როგორც ფორე მოსულიშვილის თავგანწირვა.

მხოლოდ ერთხელ შევამჩნიე ცრემლი.

ეს იყო მაშინ, როდესაც ყოფილ იტალიელ პარტიზანთა დიდი რაზმი ჩამოვიდა ქვემო მაჩხაანში, რათა პატივი ეცათ გმირის დედისათვის.

ყოფილ იტალიელ პარტიზანთა შორის იყო ტერეზინა მოტა. მე იგი იტალიაში ყოფნისას, სოფელ კომნაგოში გავიცანი. ომის დროს ახალგაზრდა, მომხიბლავი გოგონა ტერეზინა პარტიზანთა მეკავშირე იყო და ბევრ პასუხსაგებ დავალებას ასრულებდა.

ჩემს კითხვაზე, ახსოვდა თუ არა ფორე მოსულიშვილი, ტერეზინა უცნაურად შეკრთა და თვალი ამარიდა.

კარგა ხანს ორივე ვდუმდით.

მე ვამჩნევდი, თუ როგორ აუთრთოლდა ბაგე ამ სიმპათიურ ქალს, რომელსაც ფორეს ხსენებით სულის სიღრმეში ალბათ ყველაზე სათუთი სიმი შევურხიე.

ქვემო მაჩხაანში, როდესაც გმირის დედას ტერეზინა წარუდგინეს, ტერეზინამ მღელვარება ველარ დამალა, სახე დაუკოცნა მოხუცს და აქვითინდა...

ალბათ გუმანით რაღაცა იგრძნო დედის გულმა, რადგან სტუმრების წასვლისას ტერეზინა დაიმარტოხელა, ათასგზის ლამენათევი, ნალოლიავები და ცრემლნაპკური ოქროს ნიშნობის ბეჭედი ამოიღო და საკუთარი ხელით მოარგო თითზე.

სწორედ მაშინ შევამჩნიე პირველად ცრემლი...

● ●

უხმაუროდ და ღირსეულად წავიდა ჩვენგან თებრო მოსულიშვილი.

ეს ამბავი მაისში მოხდა.

მაისი ყველაზე მძიმე თვე იყო მისთვის, გამარჯვებისა და სიხარულის, დარდისა და მწუხარების თვე.

შინმოუსვლელთა დედებისათვის მაისი მძიმე თვეა.

ალბათ თებრო მოსულიშვილიც ამიტომ გარდაიცვალა მაისში.

თებრო მოსულიშვილზე ნეკროლოგი არავის დაუწერია.

აბა რომელი გაზეთი დაიტევდა სრულიად საქართველოსა და იტალიის ხელმოწერას...

ედუარდ სიხარულიძე.

[illegible]

[illegible] იტყობინებიან..

◆ **ტუიგული.** (საკ. კორ.). საწირელია თადეოზ ცქიფურიშვილი, რომლის ეზო ნიადაგ სავსეა მისივე ხელით დამზადებული სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მიკროძრავით მომუშავე ხელის გუთანი, რომლითაც საკარმიდამო და საკოლმეურნეო მიწის ნაკვეთებს ხნავენ. აქ ნახავთ ორიგინალურ სახერხ დაზგასა და კომპრესორს...

◆ **ამბროლაური.** (საკ. კორ.). სოფელ წესს კარგი სიახლე შეემატა — მის ერთ-ერთ უბანში გაიხსნა სპილენძის დასამუშავებელი საამქრო. აქ ახალგაზრდა სპეციალისტი გ. გრძელიშვილი, რომელმაც დამოუკიდებლად ისწავლა მივიწყებული პროფესია, ამზადებს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ახალ ნაკეთობებს, არემონტებს სპილენძის ქვაბებს, ჯამჭურჭელს, ორშიმოებს, სამგზავრო მათარებს, კალავს სამზარეულო ინვენტარს და სხვა. ამიტომაც ემადლიერებიან ახალგაზრდა ოსტატს თანასოფლელები.

სახალხო თეატრი სოფლის სცენაზე

ამბროლაური. (საკ. კორ.). ამ ზამთრის დღეებში ამბროლაურის სახალხო თეატრი სოფელ წესის ეწვია და კულტურის სახლის სცენაზე წარმოადგინა ო. გაბელიას ორმოქმედებიანი ვოდევილი „ბებიამ გათხოვება მოინდომა". სპექტაკლის დამდგმელია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. პატარიძე. მთავარი როლები შეასრულეს მსახიობებმა ელ. გელოვნიშვილმა, ნ. ნეფარიძემ, ქ. სხირტლაძემ და რ. გოგოლაძემ.

მუსიკის დიადი ძალა

საქართველოს სიმფონიური ორკესტრის საიუბილეო კონცერტებზე

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრს არსებობის სამოცი წელი შეუსრულდა. იუბილარი კოლექტივის ბენეფისად იქცა კონცერტები, რომლებიც ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა. ამჟამად ფართოდ აღიარებულმა ამ საშემსრულებლო კოლექტივმა, რომელმაც თავისი სიცოცხლე „ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების საზოგადოების" სიმებიანი ორკესტრის ბაზაზე დაიწყო, არა ერთი და ორი თვალსაჩინო მუსიკოსის ხელში გამოიარა. რომელი ერთი დავასახელოთ: ი. ფალიაშვილი თუ ე. მიქელაძე, ი. ტუსკია თუ გ. კილაძე, ა. გაუკი, გ. სებასტიანი, ფ. შტიდრი, ო. დიმიტრიადი, ზ. ხუროძე.

ორკესტრთან ერთად გამოდიოდნენ ისეთი სახელგანთქმული სოლისტები, როგორიც გახლავთ ს. რიხტერი, ე. გილელსი, დ. ოისტრახი, ლ. კოგანი, ე. ვირსალაძე, ლ. ისაკაძე, ს ფრანსუა და სხვ.

დღეს კი, როცა ორკესტრმა შემოქმედებითი ცხოვრების მეექვსე ათწლეულის მიჯნას გადააბიჯა, სრულიად თამამად შეიძლება ითქვას: საქართველოს რესპუბლიკას ჰყავს შესანიშნავად მობილიზებული მაღალპროფესიული კოლექტივი, გამორჩეული საკუთარი ხელწერით, ნათლად გამოკვეთილი საშემსრულებლო კულტურით.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, შ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა ჯანსუღ კახიძემ უდიდესი ღვაწლი დასდო იმას, რომ დღეს უაღრესად გაიზარდა ორკესტრის ავტორიტეტი და პოპულარობა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სწორედ ჯ. კახიძის დამსახურებაა, რომ ორკესტრის ყოველ გამოსვლაში გიზიდავთ და გხიბლავთ მჭიდრო კონტაქტი სამხატვრო ხელმძღვანელსა და საშემსრულებლო კოლექტივს შორის, გაოცებთ ფართო საპროგრამო დიაპაზონი, სადაც უხვადაა წარმოდგენილი ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები, უცხოური, რუსული და საბჭოთა კლასიკა, მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორთა ოპუსები.

ზემოაღნიშნული კონცერტები საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის შემოქმედებითს ტრიუმფად იქცა. პირველი კონცერტის პროგრამა მთლიანად ქართველმა კომპოზიტორებმა შეავსეს: რ. ლაღიძის, გ. კილაძის, შ. მშველიძის, ო. თაქთაქიშვილის, ა. მაჭავარიანის, ა. ბალანჩივაძის კარგად ცნობილმა ნაწარმოებებმა შეადგინეს ქართული საბჭოთა მუსიკის რეტროსპექტივა, ხოლო ს. ნასიძის, ბ. კვერნაძის და გ. ყანჩელის თხზულებებმა კიდევ ერთხელ გაათვალსაჩინოეს დღევანდელი ქართული საკომპოზიტორო სკოლის მაღალი, რაფინირებული, ულტრათანამედროვე ხელწერა, კიდევ ერთხელ მოგვხიბლა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის ო. დიმიტრიადის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ჯ. გოკიელის სადირიჟორო ხელოვნებამ.

მეორე კონცერტის პროგრამაში იყო ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია, საოპერო ვერიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის მასკანის, ბიზესა და ვერდის საოპერო ნაწარმოებები, სოლისტები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. სოტკილავა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ქასრაშვილი და რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ნ. ტერენტიევა. და კვლავ მოხიბლა მსმენელი ორკესტრის ჟღერადობის საოცარმა „სტერეოფონიურობამ".

ყოვლისმომცველად, გამოკვეთილად აღიქმებოდა ყოველი ბგერა, ინსტრუმენტული მოძახილები და რეპლიკები, ორკესტრული პალიტრის ფერადოვნება, მუსიკის ცოცხალი „ქმნადობის" ემოციური ტონუსი, რაც ღრმა შთამბეჭდავ ძალას ანიჭებს შესრულებას. და, რაღა თქმა უნდა, სოლისტების შესანიშნავი ვოკალური თვისებები — ჟღერადობის სილამაზე და ტემბრული მრავალფეროვნება, ზ. სოტკილავას ცეცხლოვანი ტემპერამენტი, მ. ქასრაშვილის საოცრად ლამაზი და მდიდარი ვოკალი, ნ. ტერენტიევას მკვეთრი და პლასტიკური საშემსრულებლო სტილი.

განსაკუთრებით გვინდა შევეხოთ ორკესტრის, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებითი ანგარიშის დამაგვირგვინებელ მესამე კონცერტს, რომელზეც შესრულდა ვერდის „რექვიემი".

„რექვიემი" „აიდას" პარალელურად დაიწერა, მისი შექმნა დაკავშირებული იყო კომპოზიტორის უახლოესი მეგობრების სიკვდილთან. „რექვიემში" ვერდი მიმართავს კათოლიკური სულის მოსახსენებელი წირვის ტრადიციულ ფორმებს, და სულ სხვა, ახალი შინაარსით ამდიდრებს მას. „რექვიემის" მუსიკალურ სახეთა წრე ენათესავება „აიდას". აქ გამოხატულებას პოულობს იგივე ვაჟკაცური ჰეროიკა, მრისხანე პროტესტი, ღრმა განცდა, ნათელი ლირიზმი და ვნებიანი ოცნება ბედნიერებაზე. „რექვიემი" შვიდი ნაწილისაგან შედგება. ტრაგიკული პროლოგი იცვლება განკითხვის დღის მუსიკალური სურათებით. ეს მთავარი, ყველაზე უფრო კონფლიქტური ნაწილია თხზულებისა, მასში მკვეთრადაა დაპირისპირებული დრამატული ეპიზოდები, რაც მძაფრ ემოციებს იწვევს. მესამე ნაწილი კი არის დეკორატიულ-მჭვრეტელობითი ხასიათის ინტერმეცო, რომელთა კონტრასტშიც მონაწილეობს ძალის, სიცოცხლის შემოქმედებითი სიძლიერის ამსახველი სურათები. მომდევნო ორი ნაწილის ნაზ პასტელურ ტონებში გადმოცემული მუსიკა ნაწარმოების ლირიკულ ცენტრს წარმოადგენს, ხოლო ფინალი — „მიხსენ მე," ასრულებს რეპრიზის სახეობრივ აზრობრივ ფუნქციას. ეს მონუმენტური თხზულება ასეთივე მონუმენტურ ენერგიას საჭიროებს. ამ ნაწარმოების დიდებული ინტერპრეტაცია მოგვცა ორკესტრმა ჯ. კახიძის ხელმძღვანელობით. ჩვენს ორკესტრს შესანიშნავ პარტნიორობას უწევდა სომხეთის სახელმწიფო აკადემიური კაპელა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. ჩეკიჯიანი. ეს საოცრად დახვეწილი, მონოლითურად შედუღაბებული, შინაგანად მობილიზებული კოლექტივი არაჩვეულებრივი ოსტატობით წარდგა ქართველი მსმენელის წინაშე..

სოლისტებმა მ. ქასრაშვილმა, ზ. სოტკილავამ და ნ. ტერენტიევამ კვლავ აღგვაფრთოვანეს ჩვეული ვირტუოზულობით, აქვე უნდა აღვნიშნოთ ახალგაზრდა, უნიჭიერესი მომღერლის, დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული ბანის პაატა ბურჭულაძის ხელოვნება. მან ვაჟკაცურად გაიაწყოლა და ზიდა ბოლომდე „რექვიემის" ვოკალური ნაწილის სიმძიმე. ამ არაჩვეულებრივი ტემბრისა და სიძლიერის, სწორედ რომ ვულკანური გაბარიტების ბანმა გაარღვია „მოჯადოებული წრე" და მსმენელის წინაშე წარმოჩნდა ლაღი, თავისუფალი, თითქოსდა მწვერვალებს შეჭიდებული მუზა.

ამ საიუბილეო კონცერტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მუსიკა არის და კვლავაც დარჩება იმ დიად ძალად, რომელიც მიწყივ ალამაზებს და აკეთილშობილებს ადამიანთა სიცოცხლეს.

ვლ. ზარიძე.

სურათებზე: ზ. სოტკილავა, ნ. ტერენტიევა, ჯ. კახიძე, მ. ქასრაშვილი და პ. ბურჭულაძე; საიუბილეო კონცერტის დროს.

ა. რუხაძის და ი. ზლამოვის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წარდგენილია რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად

ფერადი სიზმრები

დღემდე დაუვიწყარია ის გაზაფხული...

უკვე გაღვიძებულიყვნენ ჭადრები რუსთაველზე, ნება-ნება ივსებოდნენ, იფოთლებოდნენ და მეჩამდგარი თბილი ქარები დაჰფოფინებდათ შტოებში, ხოლო იქვე, „მხატვრის სახლში" ზურაბ ნიჟარაძეს გამოეფინა ფერწილოები და სიკასკასეში გასჯიბრებოდა აპრილის ფერადოვნებას.

მახსოვს, რა ამბავი იყო გამოფენის გახსნაზე. ზეიმობდა ჭეშმარიტი მხატვრობა, დარბაზი გაევსო თბილისის ზეპურ საზოგადოებას და მათი რჩეული — „პიკო" — ზურაბ ნიჟარაძე მილოცვებს ვერ აუდიოდა.

ოთხი წლის შემდეგ, აი, სულ ახლახან, ამ სტრიქონების ავტორს ზურაბ ნიჟარაძე თავის სახელოსნოში იტყვის, რომ ის ბოლო, 1981 წლის პერსონალური გამოფენა, მაინც არ იყოო შემოქმედებითად სრულყოფილი, მაინც არ იყოო ის, რასაც ასე დაჟინებით მიელტვის მხატვარი.

ხედავთ?

არადა, ის ნამუშევრები მერე მოსკოველებმაც აითვალმაზეს, ამ ფერწილოებმა სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ნ. პონომარიოვს ათქმევინეს, ეს არის განუმეორებელი და დახვეწილი ოსტატობაო; ცნობილი პოეტი ევ. ევტუშენკო აღაფრთოვანეს — ზურაბ ნიჟარაძის ფერწერა აღსავსეა პოეზიით, მასში თითქოს ქართული ლექსის მუსიკასაც ვგრძნობო... წლის ბოლოს კი ვენაში ჩვენი მხატვრის შემოქმედებისადმი უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს ავსტრიელებმა.

თვითონ ასე ფიქრობს, ამიტომაც ბევრჯერ უბრუნდება ერთსადაიმავე თემას, ისევ და ისევ იცლება ხაირფერი ტუბები და, როგორც ყველა ნაღდ პროფესიონალს, სრულიადაც არ აკმაყოფილებს ის, რაც დღემდე შეუქმნია.

დღემდე კი ზურაბ ნიჟარაძემ ბევრი რამ შექმნა. ეს არის მთელი სერია ქალაქური ყოფიდან წამოტივტივებული ჟანრული სურათებისა, ეს არის ბრწყინვალე პორტრეტები და წიგნის გრაფიკა, ფრესკა, მოზაიკა...

პირადად ჩემთვის ეს გალერეა თითქოს აცხადებული ფერადი სიზმრებია, რომლებშიც უსპეტაკესი ბავშვობაც მოჩანს, დიდი ქალაქის ნერვული მაჯისცემაც ისმის და ჟამიდაჟამ თანამედროვეთა ნაცნობ-უცნობი პორტრეტებიც ამონათდება.

სწორედ ფერი უქცევია ხელოვანს გამოხატვის მთავარ საშუალებად. ამით იგი აღწევს ჰარმონიას და ობიექტის აღწერილობას კი არ გვთავაზობს, სულს წარმოაჩენს, ფსიქოლოგიურად ტვირთავს ნაწარმოებს. აი, ახლახან გამოცემული შექსპირის თხზულებათა ხუთტომეულის პირველი ტომი გადავფურცლოთ, ვნახოთ ზურაბ ნიჟარაძის ილუსტრაციები. აქ მხატვარს არა მარტო დიდი დრამატურგის ნაწარმოებთა გმირების ძლიერი ხასიათები აღუბეჭდავს, ამ ხასიათების წარმოსაჩენად გროტესკიც მოუშველიებია და ფერთა იშვიათი მონაცვლეობით მაშინდელი ეპოქისადმი თავისი დამოკიდებულებაც გამოუხატავს.

...საყოველთაო აღიარებით „ორმოცდაათიანელები" განსაკუთრებული თაობაა დღევანდელი ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციისა. განსაკუთრებული იმიტომ, რომ იმ წლებში შემოქმედებით ასპარეზზე გამოსულთა უმრავლესობას, მომადლებული ნიჭისა და სამყაროს ახლებურად აღქმის წყალობით, საქვეყნო აღიარება ერგოთ წილად. ამჯერად მწერლობას ნუ შევეხებით, და რახან ჩვენი საუბრის თემა მხატვრობაა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ბრწყინვალე თანავარსკვლავედი „ორმოცდაათიანელებისა". აბა, რომელი ერის სახვით ხელოვნებას არ დაამშვენებენ მერაბ ბერძენიშვილი და ელგუჯა ამაშუკელი, ელგუჯა ბერძენიშვილი და დიმიტრი ერისთავი, კოკი მახარაძე და თენგიზ მირზაშვილი, ლევან ცუცქირიძე, ნიკოლოზ იგნატოვი და კიდევ სხვები. ამათშია ზურაბ ნიჟარაძეც — სრულიად გამორჩეული, მაძიებელი შემოქმედი.

აი, რას ამბობს მეგობარზე ელგუჯა ამაშუკელი: „თავისებურია ზურაბ ნიჟარაძის არა მხოლოდ შემოქმედება, პიროვნული ცხოვრებაც და პირველი დიდადაა განპირობებული ამ უკანასკნელით, იგი ფერმწერი-ესთეტია, ამ სიტყვის სპეციფიკური გაგებით, ხატავს ზურაბი თხუთმეტი წლის ქალწულს თუ ღრმად მოხუცებულ ადამიანს, ყველგან სილამაზეს, მშვენიერებას ეძებს და პოულობს. ეს თვისება მხატვრის შინაგანი აუცილებლობიდან წარმოდგება და თანდაყოლილ შესაშურ შინაგან წონასწორობას ემორჩილება.

ის ჭეშმარიტი ფერმწერია: ქმნის ჟანრულ კომპოზიციას თუ ნაცნობი პიროვნების პორტრეტს, ყველგან აზროვნებს და „მსჯელობს" ფერით. მის შემოქმედებაში ფერი სცილდება კოლორიტის ტრადიციულ გაგებას, —ტონალობათა ჰარმონიულ მთლიანობას და სათავეს მუსიკალურ ფერადოვნებაში იღებს. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ზურაბის ნახატის რომანტიკული მხარე (ფორმის სიმკვრივე, ტექტონიკა, სივრცობრიობა, სიღრმე, მთლიანობა) ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ფერწერა. ზემოაღნიშნული თვისებები ბევრ კარგ მოქანდაკეს შეშურდებოდა, მაგრამ მაინც, მის შემოქმედებაში ფერით თვითგამოხატვის ტენდენციაა უფრო მთავარი, ვიდრე მოდელის არსის სახეობრივ თავისებურებათა ძიება. ალბათ, არ გვიწყენენ მის ტილოებზე გამოსახული პერსონაჟები, თუ ვიტყვით, რომ მიუხედავად მათი ფიზიკური მომხიბვლელობისა, სულიერი ღირებულებისა, მაინც პორტრეტებიდან უფრო ძლიერად, დამაჯერებლად გვიცქერის მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე და გვარწმუნებს თავის სიმართლეში. მხატვრის ეს დიდი შინაგანი სიმართლე ანიჭებს მის ტილოებს ზოგად მშვენიერებას და აძლევს მხატვარს ხელოვნებაში სიცოცხლისა და ბრძოლის მაღალ იმპულსს".

პირველი ნამუშევრების გამოფენიდან კარგა ხანი გავიდა. იმ ნამუშევრებში იმპრესიონისტების გავლენა შენიშნეს სპეციალისტებმა. ვერ გეტყვით, არაპროფესიონალისათვის, ალბათ, ძნელია ათასგვარ მიმდინარეობაზე მსჯელობა. ტარიელ ჭანტურიასი არ იყოს, „მე მშვენიერების ცქერაც მაკმაყოფილებს".

კარგა ხანი გავიდა... და დღეს რუსთაველის პრემიის ლაურეატობის კანდიდატი ქართული ფერწერის ბრწყინვალე ოსტატთა გვერდით დგას.

სახელოსნოში რუსთაველის პრემიაზე ჩამოვუგდე სიტყვა.

„მხატვარმა ბევრი უნდა ხატოს, თავისთვის იყოს და პრემიებზე და ქება-დიდებაზე არ უნდა ფიქრობდეს. ალბათ მხოლოდ ჩვენს წრეში თუ იცნობენ ბრწყინვალე მხატვარს ედმუნდ კალანდაძეს. რას ჰკარგავს ამით? მე მგონი არაფერს. მუშაობს თავაუღებლად და თავის მრწამსისა სჯერა. გადაჭარბებული ქება-დიდება აღუნებს შემოქმედს, ჰგონია, რომ უკვე მიაღწია ყველაფერს. ჭეშმარიტ მხატვრობას კი რა შრომაც სჭირდება, კარგად მოგეხსენებათ. გულახდილად გეტყვით, არა მგონია ამოდენა ეროვნული პრემიის ღირსი ვიყო, რადგან ყოველ წუთს ვგრძნობ, რომ კიდევ ბევრი დამრჩა შემოქმედებით სრულყოფამდე".

...ახლა ისე ხშირად ველარ ნახავთ ზურაბ ნიჟარაძეს რუსთაველზე მოხდენილად ჩავლილს. გადაიმუდღევა ცხოვრებამ, საქმეს საქმე მიემატა (მარტო სამხატვრო აკადემიის რექტორობას რა დრო მიაქვს?!), მისმა ქალაქმა, ადამიანებმა, რუსთაველზე შარიშურით მოსეირნე ლამაზების ღიმილმა და ცნობისმოყვარე გამოხედვამ ფერწილოებზე გადაინაცვლა.

და ქმნის მხატვარი, რომ ისევ უმშვენიერესი ფერადი სიზმრები აგვიცხადოს, დაგვატკბოს, სილამაზის უკვდავებაში დაგვაჯეროს.

ვ. მარდალეიშვილი.

ყაბახი

სატურნირო ორბიტა

ზამთრის უნივერსიადა. იტალიაში გრძელდება სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო ასპარეზობები. გიგანტურ სლალომში ქალთა შორის პირველ ადგილს დაეუფლა ი. ფრანკო (იუგოსლავია). მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანამემამულე ბ. სტრელი, მესამეზე — ჯ. ფუენტესი (ესპანეთი). ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენთაგან მეხუთე ადგილი წილად ხვდა კიეველ ა. კოსტრომას. 15 კილომეტრზე თხილამურებით რბოლაში უძლიერესის წოდება მოიპოვა პერმის ოლქის ქალაქ ჩაიკოვსკის წარმომადგენელმა ვ. ნიკიტინმა. მეორე იყო იტალიელი ს. ბარკო, ხოლო მესამე გახლდათ ვლადიმირელი ა. პროკუროროვი. ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბოლაში კი იმარჯვა სვერდლოვსკელმა ნ. ფურლეტოვამ. მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად გამოვიდნენ იტალიელი გ. დალ სასო და ჩაიკოვსკელი ი. სტეპანოვა. მოთხილამურეთა ორჭიდში გაიმარჯვა ტ. მიულერმა (გფრ), კიევლმა ა. პროსვირინმა კი მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. დაიწყო ჰოკეისტთა ტურნირიც. სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებმა პირველი მატჩი ფინელებთან გამართა და იგი მოიგო ანგარიშით 9:0.

კალათბურთი. კაუნასში გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „ჟალგირისსა" და საფრანგეთის „ლიმოჟს" შორის. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 84:78 (41:40).

ხელბურთი. ნორვეგიაში დაიწყო ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი („ბ" კლასი). სსრ კავშირის ნაკრებმა თავისი პირველი მატჩი გამართა ქალაქ ბერგენში ფინეთის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 30:19. სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: საფრანგეთი-კონგო — 34:16, ჩეხოსლოვაკია-იაპონია — 26:15, გდრ-ჰოლანდია — 25:11, ბულგარეთი-კუვეიტი — 21:11, უნგრეთი-აშშ — 19:13.

ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატის საფინალო მატჩის მეხუთე საგზურის მფლობელის ვინაობა უნდა გარკვეულიყო სმაგინ-გურგენიძის გადადებული პარტიის დამთავრების შემდეგ. თუ სმაგინი ვერ მოიგებდა, საგზურის დეუფლებოდა ბალაშოვი. პარტია ვერ დამთავრდა გურგენიძის ავადმყოფობის გამო და იგი მოგვიანებით გათამაშდება. ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მკითხველებს გავაცნოთ, დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატზე ვინ რომელი ადგილი დაიკავა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

21 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 და 20.00 — მულტფილმები. 10.05 — ცხოველთა სამყაროში. 11.05 — მხატვრული ტელეფილმი „ბატალიონები ცეცხლს თხოულობენ". III სერია. 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.50 — ჩრდილოეთ რუსეთის სიმღერები. 17.20 — ახალი ამბები. 17.25 — სერგი ორლოვის პოეზია. 18.05 — ს. რახმანინოვი — რაფსოდია ნ. პაგანინის თემაზე. 18.30 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.15 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. 19.45 — კონცერტი. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „ბატალიონები ცეცხლს თხოულობენ". IV სერია. 22.00 — „ვრემია". 22.50 ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიოზკას" გამოსვლა. 23.25 — დღეს მსოფლიოში. 23.40 — კალათბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასი. ვაჟები. ცსკა — იტალიის „ბანკო დი რომა".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „მხატვარი მ. გრეკოვი". 9.35 — ფიზიკა. VI კლასი. 10.05 — ესპანური ენა. 11.05 — „მე საბჭოთა კავშირის მოქალაქე ვარ". 11.35 — ფიზიკა. IX კლასი. 12.05 — „ოჯახი და სკოლა". 13.10 — ზოგადი ბიოლოგია. X კლასი. 13.40 — რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში. 14.40 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „საგანგებო დანიშნულების მატარებელი". 16.05 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 19.30 — ქართული საესტრადო მელოდიები. 20.00 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის გამო. 20.30 — დედის სკოლა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო". 21.15 — მუსიკალური გადაცემა. 22.00 — „ვრემია". 22.50 — მხატვრული ტელეფილმი — „მოვალეობა". 0.15 — ახალი ამბები.

თბილისი

21 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — კონცერტი „თქვენი თხოვნით" (ქინვალჰესის მშრომელთა თხოვნით). 11.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი მეხსიერების საათი". 11.30 — მუსიკალური კალენდრის ფურცლებზე. 12.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შუქი სახეზე". 13.00 — ბიოლოგიის ტელეკურსი (სტუდიაში ნ. სიხარულიძე). 13.30 — ახალი ამბები. 13.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გრიგორი კვიტკა ოსნოვიანენკო". 14.10 — მასწავლებლის საათი — დაწყებითი განათლება. 14.40 — მხატვრული ფილმი „სპეციალური დანიშნულების მატარებელი" (მ.). 16.10 — ახალი ამბები. 16.20 — შევისწავლოთ ფრანგული ენა (სტუდიაში მ. დოხტურიშვილი). 16.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყამირული ხასიათი". 17.25 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. მონაწილეობენ კავშირგაბმულობის კულტურის სახლის ბავშვთა კოლექტივები. 17.55 — სპორტული გადაცემა „ცხენზე ვინ იტყვის აუგსა" (განმეორებით). 18.25 — საუბრები არქეოლოგიაზე. 19.00 — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ფილმები — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიელინება". 19.30 — ქართული საესტრადო მელოდიები (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — სტუდია „დიალოგი". 21.30 — ახალგაზრდობისათვის „ცხვარმეცხვარეს გაუმარჯვე, ყიზლარის მზეო!" გადაცემა მესამე „საქართველო ყაზბეგიდან ღწყება" (ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 64 წლისთავს). 22.00 — „ვრემია". 22.50 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „სიყვარულის წინათგრძნობა" (კინოსტუდია „მოსფილმის" ნაწარმოები. მთავარ როლებში ი. ალფეროვა და ა. აბდულოვი). 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საიდუმლოებათა საიდუმლოება". 17.10 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა. 17.55 — „ჩვენ და კანონი" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გულგრილობა". 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

თეატრი

21 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კონცერტი, მონაწილეობენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და სომხეთის აკადემიური კაპელა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რომაული კომედია; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ლურჯი ურჩხული; თბილისის სახელმწიფო დრამატული — კომბლე (28-ე აბონ. II წარმ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ცეკვის მასწავლებელი; მინიატიურების სახელმწიფო — ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ვერა თევდორეს ასული ფედორჩენკო-ინაური
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 ეე 08484 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზარფის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20